ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**გარდაცვლილი გოგონას საქმრო და მეზობელი ბინაში აივნიდან შევიდნენ და ცხედრები აღმოაჩინეს — დედა სავარძელში იჯდა, შვილი კი გვერდით იატაკზე ნახეს**

გვ.7

**6 დეკემბრიდან**

ქართული დეტექტივი მე-15 ზომი

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 2017 №295 (7530) ფასი: 50 თეთრი

# „საკაშვილი შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდეს“

## თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობს საკაშვილი ქართულ ცხელში“

გვ.3

## „3%-იანი ბარიერი კოალიციურ მთავრობას ნიშნავს“

გვ.4

## გია გაჩეჩილაძე კვირიკაშვილის წინააღმდეგ: „ტენდერებს მხოლოდ მთავრობასთან დაკავშირებული კომპანიები იგებენ“

გვ.2

**კვირიკაშვილი: „ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტიპის უსაფუძვლო ბრალდებები ისმის ადამიანისგან, რომელსაც წლებია ვიცნობ“**

**სამართალი** გვ.7

**გურამ ფოცხიშვილისა და დიმა ომოლჩენკოს მკვლელობაში ბრალდებულ კახა მეგრელიშვილზე ძებნა გამოცხადდა**



**მამუკა ვასაძე: „პაატა ბურჭულაძე ვალდებულია, სასამართლოში გამოცხადდეს. ეს ნებაყოფლობითი არ არის“**

**აზარტული თამაშების აპარატების უკანონო ფუნქციონირების 5 ფაქტი გამოვლინდა**

**ეკონომიკა** გვ.6

**ონლაინსესხების კომპანიები მოსახლეობის ძარცვას აგრძელებენ**

**სესხს ეროვნული ბანკის გარეშე ვერც ლომბარდები გასცემენ**

**ნავთობის ფასი 65 დოლარამდე გაიზარდა**

**საფინანსო ორგანიზაციებს მსესხებელზე ინფორმაციის ბაზა უფართოვდებათ**

ISSN 1987-9385

**2** გიორგი თევზაძე: „არჩევნების მეორე ტური დავით ასათიანის უპირატესობას ისევ აჩვენებს“

**5** დასავლელ ექსპერტებს პუტინის ბლიცვიზიტი აშფოთებთ

**4** გაეროს ორგანიზაციებში ელჩად ვიქტორ დოლიძე, გერმანიაში კი ელგუჯა ხოკრიშვილი დანიშნეს

**5** ირანულ კინოფესტივალზე ქართველმა ქალბატონმა საყურე მოიხსნა და ირანელ მსახიობს უსახსოვრა

# გიორგი თევზაძე: „არჩევნების მეორე ტური დავით ასათიანის უპირატესობას ისევ აჩვენებს“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი და ადვოკატი გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების ლეგიტიმურობაზე საუბრობს.

მისი თქმით, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ასოციაციის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი საბჭო, თავმჯდომარე კი ასრულებს.

***– ბატონო გიორგი, ადვოკატთა ასოციაციაში რატომ წარმოიშვა წინააღმდეგობები არჩევნების დროს?***

– არჩევნები ჩატარდა სრულიად გამჭვირვალედ. მშვიდობიან ვითარებაში.

***– თუმცა, ზოგიერთ კანდიდატს პრეტენზია აქვს.***

– როდესაც ერთი კანდიდატი იღებს, ვთქვათ, 1.128 ხმას, ხოლო მეორე ადამიანი იღებს 634 ხმას, პრეტენზია თავისთავად გაუჩნდება.

***– როგორ?***

– ზოგიერთმა კანდიდატმა მიიღო 160 ხმა და პრეტენზია აქვს. ზოგიერთმა კანდიდატმა მიიღო 53 ხმა, 2 ხმა, 1 ხმა. აქ საუბარია იმაზე, რომ რომელიღაც ადვოკატს, რომელიც იყო კომისიაში, თითქოსდა აღმოაჩნდა რამდენიმე ბიულეტენი, სადაც დავით ასათიანი იყო შემოხაზული.

***– თითქოს ბიულეტენები არაერთს აღმოუჩინეს.***

– ვისაც ბიულეტენები აღმოუჩინეს (მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ), იყო ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენელი.

***– კერძოდ?***

– ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატისა და არა დავით ასათიანის. მათ დავით ასათიანთან სამართლებრივად არავითარი შეხება არ ჰქონდათ. ჩვენ წლებია ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ჩვენი ურთიერთობა დღეს არ დაწყებულა, მაგრამ ეს ადამიანი არის ერთ-ერთი კანდიდატის წარმომადგენელი, რომელიც ასევე ადვოკატია.

***– საიდან აღმოაჩნდა მას ბიულეტენები?***

– არ ვიცი. 3 თუ 4 ბიულეტენი აღმოაჩნდა, რომელშიც დავით ასათიანი გახლდათ შემოხაზული. ვთქვათ, 5 ბიულეტენი იყო ასეთი. როცა პიროვნება არჩევნებს იგებს 500 ხმაზე მეტით, ნუთუ ეს 5 ხმა, თუნდაც 7 ხმა, შედეგების თვალსაზრისით რამეს წყვეტს? რა თქმა უნდა, არ წყვეტს.

***– პროცესი არის დარღვეული, კანდიდატები ამბობენ, რომ არჩევნები დარღვევებით არის ჩატარებული.***

– ისინი ძალიან ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ ვერაფერს ამტკიცებენ. არსებობს შესაბამისი რეგულაციები, შესაბამისი მიდგომები, რომელთა საფუძველზეც კომისია იღებს გადაწყვეტილებას. კომისიის მაგივრად ვერც მე, ვერც დავით ასათიანი, ვერც ლევან ჯანაშია და ვერც სხვა პიროვნება გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. თუმცა, კანონი იძლევა იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დავით ასათიანის სასარგებლოდ.

ეს საკითხი არ ეხება დანარჩენ კანდიდატებს. ამ შემთხვევაში კანონი გეუბნება, რომ მიღებული უნდა გქონდეს ნახევარზე მეტი ხმა. აღმასრულებელი საბჭოსა და სხვა კომისიების შემთხვევაში უბრალო უმრავლესობით წყდება საკითხი.

***– თქვენ უკვე აგირჩიეს?***

– არა. მიმდინარეობს დათვლა. ხმების უმრავლესობას ვინც მიიღებს, ის იქნება არჩეული. თუ ჩემი კოლეგები კიდევ ერთხელ გამომიცხადებენ ნდობას და ხმების იმ რაოდენობას მივიღებ, რომ გამსვლელი იქნება, მე აღმასრულებელი საბჭოს წევრი ვიქნები.

***– ზაზა ხატიაშვილი მოითხოვს მეორე ტურის ჩატარებას.***

– ზაზა ხატიაშვილი არ მოითხოვს.

***– პრესკონფერენციაზე განაცხადა.***

– ზაზა ხატიაშვილი აღნიშნავს (ჩვენც იმავე პოზიციაზე ვართ), რომ ვინაიდან არ გვინდა დარჩეს რაიმე კითხვები ნებისმიერი მოქალაქისა თუ ოპონენტის მხრიდან, ჩვენ თანახმა ვართ, მხოლოდ ასოციაციის თავმჯდომარესთან დაკავშირებით ჩატარდეს მეორე ტური. იქ კიდევ ერთხელ დადასტურდება, ბატონი დავით ასათიანი რა დიდი უპირატესობით იქნება გამარჯვებული.

***– კანონი რას ამბობს, თავმჯდომარე რამდენი ხმით უნდა იქნეს არჩეული?***

– ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ასარჩევად საჭიროა 50 პლუს 1 ხმა.

***– ახლა 4.500 ადვოკატი ხომ არის?***

– 4.500 მოქმედი ადვოკატია. არჩევნებში 2.324 ადვოკატი მონაწილეობდა.

***– ე.ი. არჩევნებში მონაწილე 2.324 ადვოკატიდან იანგარიშება და 50 პლუს 1 ხმა მიიღო ასათიანმა?***

– ამას კომისია გადაწყვეტს. ფაქტი სახეზეა, რომ 1.128 ხმა მიიღო დავით ასათიანმა, 634 ლევან ჯანაშიამ, 160 ხმა მიიღო დავით ლანჩავამ, 53 ხმა მიიღო ირმა ჭკადუამ და ა.შ.

აქ მთავარი ის არის, როდესაც ადამიანი არჩევნებს აგებს, ზოგს შინაგანი სიძლიერე აქვს, რომ მიულოცოს გამარჯვებულს. მინდა მადლობა გადავუხადო დავით ებრალიძეს, რომელმაც აღიარა ეს არჩევნები. მან თქვა, რომ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის პრობლემა არ არის. თუკი რაიმე პრობლემა იყო, იმ წუთში შეეძლოთ შეეწყვიტათ და მოეთხოვათ კომისია, გამოეძახებინათ თუნდაც სამართალდამცავი ორგანოები, მაგრამ არჩევნები გაგრძელდა. როცა არჩევნები დამთავრდა და შედეგები გამოცხადდა, შემდეგ დაიწყო ვნებათაღელვა.

***– რომ მოეთხოვათ, არჩევნები შეჩერდებოდა?***

– თუ მოითხოვდნენ, რა თქმა უნდა, არჩევნები შეჩერდებოდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ კომისიის გადასაწყვეტია, არჩევნები ლეგიტიმურია თუ არა.

***– კომისია როდის გამოაცხადებს გადაწყვეტილებას?***

– ვინც უკმაყოფილო იყო, მათ თავიანთი წარმომადგენლები კომისიიდან გაითხოვეს. მიუხედავად ამისა, დარჩა კომისიის 9 წევრი. კვორუმი არის 6 და უფლებამოსილია, გააგრძელოს მუშაობა. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ სამართლებრივი სივრციდან ნუ გავლენ, ნუ გადადგამენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც შეიძლება შეფასდეს საბოტაჟად.

***– იმის საშიშროება არის, რომ ადვოკატების გარკვეული რაოდენობა გავიდეს ასოციაციიდან?***

– თუ მართლა აინტერესებთ არჩევნების რეალური ბედი, დაბრუნდნენ არსებულ სამართლებრივ სივრცეში. ისინი ითხოვდნენ მეორე ტურს. ჩავატაროთ მეორე ტური და საზოგადოება დაინახავს, ვინ რამდენი ხმა მიიღო. თუ ვინმე იმაზე მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე ჩვენი კანდიდატი, ღირსეულად მივულოცავთ.

***– ერთ-ერთი კანდიდატისგან მოვისმინე, არჩევნების შედეგების გაუქმების ყველანაირი საფუძველი არსებობსო.***

– არჩევნების გაუქმების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ეს მათი სურვილია. თუ ვერ შეჯერდნენ და არ ეთანხმებიან, შეუძლიათ, სასამართლოს მიმართონ.

***– მართალია, რასაც ერთ-ერთი კანდიდატი წინასაარჩევნოდაც და შემდეგაც აცხადებდა, რომ დავით ასათიანი კავშირში იყო ნაციონალებთან, მათ ადვოკატს წარმოადგენდა? ფაქტია, რომ ამ კანდიდატის მიმართ არის ვნებათაღელვა.***

– მე უფრო ვენდობი ბატონ ზაზა ხატიაშვილს, რომელიც გახლავთ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა ასოციაციისთვის. როგორც ვიცი, დავით ასათიანი ფარულად მხარში ედგა ზაზა ხატიაშვილს წინა რეჟიმთან ბრძოლაში. ეს დასაფასებელია.

მეორე, იქიდან გამომდინარე, ვინ ვისი ადვოკატია, ინტერპრეტაცია სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მე შეიძლება, დღეს ვიცავდე მკვლელს, ზეგ – თაღლითს, შემდეგ შეიძლება დაზარალებულის უფლებები დავიცვა. გაეროს მე-16 მუხლი გვეუბნება, რომ ადვოკატი არ უნდა გააიგივო კლიენტთან. თუ ადვოკატებს ეშლებათ ის, რომ კონკრეტული ადვოკატი შეიძლება გააიგივონ კლიენტთან, მაშინ საერთოდ პრობლემასთან გვქონია საქმე. თუ დავით ასათიანი იცავდა რომელიმე პირს, რომელიც ნაცმოძრაობის ჩინოსანია, ძნელია, მას რაიმეში შეედავო. მე დღესაც ვიცავ რამდენიმე პირს სხვადასხვა ბრალდებით. შეიძლება ვინმემ გამაიგივოს მათ ქმედებებთან? რა თქმა უნდა, არა.

უბრალოდ, ეს არის მანიპულაცია საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად. ვიღაცამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ზაზა ხატიაშვილს ბიულეტენები ეჭირა და დაწერეს, რომ ეს ბიულეტენები ჯიბეში ჰქონდა. ეს არის სირცხვილი. იქ 2.300 კაცი იყო და ყველამ დაინახა, რაც ხდებოდა. ვიღაც ხომ დავინახავდით, ასე რომ ყოფილიყო. ზაზამ ის ბიულეტენები ვიღაცას ჩამოართვა და მას ეჭირა ხელში, რათა კომისიისთვის გადაეცა. ამით ზაზა ხატიაშვილის იმიჯს კი არ აყენებენ ჩრდილს, თავიანთ თავს აყენებენ დარტყმას, დამერწმუნეთ.

***– ასეთ დაპირისპირებას მოელოდით? ზაზა ხატიაშვილის პერიოდში ასოციაცია ძალიან შეკრული ჩანდა.***

– ყველა არჩევნებს ახლავს ასეთი რამ. შედეგებიდან უნდა გამოვიდეთ. შედეგებით სოლიდურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თავის დროზე ზაზა ხატიაშვილს, დღეს კი – დავით ასათიანს.

***– რისთვის იბრძვიან ადვოკატები? ითქვა, რომ ადვოკატთა ასოციაციას ძალიან ბევრი გრანტები მოსდის, ეწყობა ვიზიტები საზღვარგარეთ და უნდათ, ამგვარი პრივილეგიებით ისარგებლონ.***

– გრანტები, რა თქმა უნდა, არის. თითოეული გრანტი მიზნობრივია, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ.

***– აკონტროლებენ?***

– დიახ, აკონტროლებენ, ქორივით უყურებენ.

***– გრანტები რა საკითხებზეა?***

– გრანტები არის სასამართლოს მიმართულებით. არავინ გაიგოს ისე, რომ ეს გრანტები სახლში მიჰქონდეთ. რაც შეეხება უცხოეთში ვიზიტებს – ბატონი დავით ასათიანი გახლდათ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი. თუ არა დავით ასათიანი, შეხვედრაზე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით, ხომ ვერ მეტყვით, ვინ წავიდოდა? რომელიმე ადვოკატი წავიდოდა, რომელსაც დღეს პრეტენზია აქვს თუ გამოგვეცხადებინა კონკურსი, უცხოეთში ვინ წახვალთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შესახვედრადო? ასევე აღმასრულებელი საბჭოს წევრები თუ მიდიოდნენ უცხოეთში, თვითონ დონორი ორგანიზაციები აფინანსებდნენ.

რეალურად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ასოციაციის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი საბჭო, თავმჯდომარე კი ასრულებს.

# გია გაჩეჩილაძე კვირიკაშვილის წინააღმდეგ: „ტენდერებს მხოლოდ მთავრობასთან დაკავშირებული კომპანიები იგებენ“

## კვირიკაშვილი: „ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტიპის უსაფუძვლო ბრალდებები ისმის ადამიანისგან, რომელსაც წლებია ვიცნობ“

მომღერალი გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი, ხელისუფლების წინააღმდეგ განცხადებას აკეთებს.

გუშინ მან კომპანია „სიტროენ ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან ერთად ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ტენდერებს მხოლოდ ხელისუფლების წევრებთან დაკავშირებული კომპანიები იგებენ.

მომღერალს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, თუმცა „სიტროენ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა სპორტის მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილის კომპანიები და მის მიერ მოგებული ტენდერები დაასახელა.

ამ საკითხზე გია გაჩეჩილაძემ ნოემბრის ბოლოსაც ისაუბრა.

მაშინ მან თქვა, რომ მისი სიძის, გიორგი შარაშიძის, კომპანია „სიტროენ ჯორჯია“ სწორედ სახელისუფლებო ინტერესებსა და კონკრეტული კომპანიების ლობისტებს ეწირება.

გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ კომპანიასთან გაფორმებული ტენდერი შეწყვიტეს.

საქმე ეხება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერს, სადაც 4 კომპანია მონაწილეობდა.

„სიტროენმა“ შემსყიდველს მომსახურება ყველაზე დაბალ ფასად შესთავაზა, თუმცა გადაწყვეტილება „ჰუნდაის“ სასარგებლოდ მიიღეს, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის 150 ათასით ძვირი გადაუხადეს.

შეაჩერე კორუფციის თავმჯდომარე გიორგი ბაჯელიძე, ამბობს, რომ სახელისუფლებო კლანების ინტერესები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში აშკარაა და კონკრეტული მაჩვენებლები სატენდერო პირობებში ხშირად კონკრეტული ფირმის უპირატესობას გარდაუვალს ხდის.

სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიებიდან ირკვევა, რომ ყველაზე ხშირად სატრანსპორტო ტენდერებში „იბერია ავტო“ და მისი დამფუძნებელი ტარიელ ხეჩიკაშვილი ფიგურირებდნენ.

საგამოძიებო ჟურნალისტების ჯგუფის მიერ დოკუმენტებზე დაყრდნობით მიღებული დაანგარიშება უჩვენებს, რომ სპორტის ყოფილი მინისტრის კომპანიამ ბოლო 3 წელიწადში ბიუჯეტიდან თითქმის 34 მილიონი ლარი მიიღო.

* * *

ბრალდებებს გუშინვე ადრესატებმა უპასუხეს, რომლებმაც კარტელურ გარიგებებში მონაწილეობა უარყვეს.

გია გაჩეჩილაძის განცხადებას თავად პრემიერიც გამოეხმაურა, რომელმაც თქვა, რომ ტენდერები კანონის სრული დაცვით ტარდება, ის და მისი გუნდი კი არიან იმის გარანტი, რომ ქვეყანაში კანონზე მაღლა ვერავინ დადგება.

კვირიკაშვილის თქმით, სამართლებრივ დავებს „კანონი არეგულირებს და არა ნაცნობ-მეგობრობა ან ნათესაური კავშირი“.

– უპირველეს ყოვლისა, არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, არამედ, ზოგადად მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სამართლებრივ დავებს აწესრიგებს და არეგულირებს კანონი, შესაბამისი ინსტანციები და არა – ნაცნობ-მეგობრობა ან ნათესაური კავშირები. სახელმწიფო შესყიდვები და ტენდერები არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს როგორც გამარჯვებული, ისე – დამარცხებული.

გასაგებია, რომ დამარცხებულს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული პრეტენზიები, თუმცა ამისთვის შესაბამისი ინსტიტუციები, ინსტანციები და საბოლოოდ არსებობს სასამართლო და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ საქმეს, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ყველა პროცედურა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა და არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა წინასწარ გამიზნულად, ვინმეს მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. ჩემთვის ადამიანურად ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტიპის უსაფუძვლო ბრალდებები ისმის ადამიანისგან, რომელსაც წლებია ვიცნობ.

კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით განვაცხადო, რომ აღნიშნულ საკითხს აქვს მხოლოდ სამართლებრივი განზომილება და ის უნდა წარიმართოს მხოლოდ ამ მიმართულებით. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი არის უზენაესი და პირადად მე, ჩვენს პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ვარ იმის გარანტი, რომ ამ ქვეყანაში კანონზე მაღლა ვერავინ დადგება, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## რეგიონებში დენის ტარიფი შესაძლოა გაიზარდოს

თუ გაიზარდა გენერაციის ობიექტების ტარიფები, მაშინ, დიდი ალბათობით, სამომხმარებლო ტარიფის ზრდა იქნება გარდაუვალი. ამის შესახებ „ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ბოცვაძემ განაცხადა.

რაც შეეხება კომპანიის საინვესტიციო გეგმას, მისი თქმით, „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ საშუალოდ წარმოდგენილია წელიწადში 70 მილიონი ლარის ინვესტიცია, რაც ჩაშლილია კონკრეტულ პროექტებად.

– ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ეს აუცილებელია და ვფიქრობ, უნდა დამტკიცდეს, რადგან ნამდვილად აუცილებელია ქსელისთვის, ქსელის შენარჩუნებისა და მომსახურების ხარისხის შედარებით უფრო გაუმჯობესებისთვის, – განაცხადა ბოცვაძემ და დასძინა, რომ სამი წლის ჭრილში სადისტრიბუციო ქსელში 220-230 მილიონ ლარზეა საუბარი, ხოლო გენერაციის მიმართულებით – დაახლოებით, 45 მილიონ ლარზე.

მისივე განმარტებით, ინვესტიციებს აქვს გარკვეული გავლენა ტარიფზე.

– თუმცა, გაიზრდება თუ არა სამომხმარებლო ტარიფი, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ უნდა დავაკვირდეთ ამ დღეებში მოვლენებს, შეიცვლება თუ არა თბო და ჰიდროელექტროსადგურების ტარიფები. თუ აქაც მოხდა ზრდა და ჩვენ მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება თუ გაიზარდა იმ ფონზე, რომ გაიზარდა „ენგურჰესის" ტარიფი, სხვა თბო და ჰიდროელექტროსადგურების ტარიფები, სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, ეს დიდი ალბათობით უნდა აისახოს ტარიფზე გარანტირებულად და დიდი ალბათობით ზრდა იქნება გარდაუვალი, დავაკვირდეთ მოხდება თუ არა ზრდა გენერაციის ობიექტების ტარიფების, – განაცხადა ბოცვაძემ.

მისივე განცხადებით, მრავალი კომპონენტია და ვერ განიხილავენ მხოლოდ ინვესტიციას, მხოლოდ ლარის კურსს, ანუ მრავალი კომპონენტი ერთმანეთს აბალანსებს.

– ეს საბოლოოდ სემეკის დასადგენია და დაველოდოთ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, დიდწილად შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება უმთავრესი კომპონენტია, მაგრამ ინვესტიციებსაც თავისი ტვირთი გააჩნია, – განაცხადა ბოცვაძემ.

კითხვაზე, კვლავ იგეგმება თუ არა „ენერგო-პრო ჯორჯიას" გაყიდვა ჩეხი ინვესტორების მიერ, მიხეილ ბოცვაძის განცხადებით, აღარ არის ეს პროცესი ძალიან აქტიური.

– სიმართლე გითხრათ, ეს სათავო ოფისის პრეროგატივაა და იქ პროცესები პერიოდულად აქტიურდებოდა, პერიოდულად საერთოდ ჩერდებოდა. ახლა ამაზე კონკრეტული კომენტარის გაკეთება ნამდვილად არ შემიძლია, – განაცხადა ბოცვაძემ.

## მეტროს მატარებლები პიკის საათებში 2,5 წუთში ერთხელ იმოძრავებენ

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია" პიკის საათებში მეტროს მატარებლების მოძრაობას შორის ამჟამად არსებული 3,5-წუთიანი ინტერვალის 2,5 წუთამდე შემცირებას გეგმავს.

ამის შესახებ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ახალმა დირექტორმა მამუკა კობახიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, მატარებლების მოძრაობას შორის ინტერვალის შემცირება პიკის საათებში მგზავრთა ნაკადის უკეთ მომსახურების მიზნით იგეგმება, რაც ვაგონების ახალი შემადგენლობის შემოყვანით, ასევე ვაგონების შემადგენლობის მოდერნიზება-კაპიტალური შეკეთებით მოხდება.

– პიკის საათში მეტროს მატარებლების მოძრაობას შორის ინტერვალი ამჟამად დაახლოებით 3,5 წუთი გვაქვს. თუმცა, ორი ახალი შემადგენლობის შეძენისა და კიდევ ორი ახალი შემადგენლობის მოდერნიზების შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ მომავალ წელს პიკის საათებში მეტროში მატარებლებს შორის ინტერვალი 2,5 წუთამდე შემცირდება, – განაცხადა მამუკა კობახიძემ.

მისივე თქმით, ამ მიზნით მომავალი წლის ბიუტჯეტის პროექტით, დაახლოებით 14 მლნ ლარია გათვალისწინებული. მატარებლების ახალი შემადგენლობის შემოყვანაზე ტენდერი გამოცხადდება.

კობახიძემ ასევე მეტროსადგურებში ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებზეც ისაუბრა.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია" ასევე თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით 10 მეტროსადგურისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს.

– სარემონტო სამაუშოები „ვაგზლის მოედნის" სამივე სადგურს, ასევე, „ისნის", „რუსთაველის", „თავისუფლების", „მარჯანიშვილის", „წერეთელის", „სამედიცინოსა" და „ნაძალადევის" მეტროსადგურებს ჩაუტარდებათ. „რუსთაველის", „თავისუფლებისა" და „მარჯანიშვილის" მეტროსადგურებს ძველი იერსახე შეუნარჩუნდებათ, თუმცა, ტექნიკური უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ახალი ელემენტების შეტანას ვაპირებთ, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ჯამში, მეტროსადგურების სარემონტო სამუშაოებისთვის 10 მლნ ლარამდეა გათვალისწინებული.

# „სააკაშვილი შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდეს"

## თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილი ქართულ ციხეში"

ნონა ცაბაძე

**რაც არ უნდა იძახონ „ოცნების" მეოთხეხარისხოვანმა პოლიტიკოსებმა, რომ სააკაშვილი ნასულია, კაცი არ ჩამოდის ტელეეკრანებიდან და წამყვანი ჟურნალ-გაზეთებიდან. იძახონ ახლა, ნასულიაო, თვითონ ოდესმე თუ ყოფილან უცხოურ გამოცემებში და უცხოურ ტელევიზიებში?! არასოდეს! „ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

*– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს? სააკაშვილი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, ჩვენს საზოგადოებაში კი იყო მოლოდინი, რომ სააკაშვილის ექსტრადირების პროცედურა დაიწყებოდა.*

– ექსტრადირება ძალიან რთული იურიდიული პროცედურაა. პოლიტიკურადაც მძიმე იქნება უკრაინისთვის ამის გაკეთება. რამე რომ მოხდეს, პოროშენკოს წასასვლელი სად აქვს? რუსეთში ნამდვილად ვერ გაიქცევა. ამიტომ დასავლეთთან მას ამ ტოტის მოჭრა ნამდვილად არ აწყობდა.

*– დასავლეთს გაალიზიანებს სააკაშვილის ექსტრადირება?*

– ეს პროცესი თუ დაიწყო, უკრაინის ურთიერთობა ძალიან გაფუჭდება დასავლეთთან. ამიტომ ექსტრადირება არ იქნება მარტივი. საქართველოს ხელისუფლებასაც არა მგონია, ძალიან უნდოდეს ეს ამბავი. ყველანაირად თავს არიდებს და, დარწმუნებული ვარ, ათას რაღაცას იგონებს, რომ ექსტრადირება თავიდან აიცილოს. რაში აწყობთ სააკაშვილი ქართულ ციხეში, მასთან ყოველდღე ივლიან კონგრესმენები, ევროპარლამენტარები. იქნება ლაპარაკი, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები. სასამართლო ჩვენთან პოლიტიზირებულია – ეს მთელმა მსოფლიომ მშვენივრად იცის. ამიტომაც კიდევ უფრო მეტად დააზარალებს ეს საქართველოს. ამიტომ ამ მთავრობას თუ ჭკუა აქვს თავში, წესით, არ უნდა უნდოდეს.

*– კეთდება შეფასებები, რომ ეს ყველაფერი დადგმულ სცენარს ჰგავს, რომ სააკაშვილის გასაძლიერებლად მოხდა მისი დაპატიმრებაც და ასე შემდეგ. ამ ვერსიებზე რას იტყვით?*

– ეს ჩვეულებრივი შეთქმულების თეორიებია და მათ, იმედია, ოდესღაც გადავეჩვევით. ძალიან საინტერესოა, ვინ დადგა ეს სცენარი. ვინ იყო ამის რეჟისორი, ან ოპერატორი?!

*– კრემლიო...*

– კარგით რა. სადამდე უნდა იცხოვრონ ვიღაც-ვიღაცებმა ამ შეთქმულების თეორიებით და ბოდვებით.

*– სააკაშვილს აქვს შანსი, მოვიდეს უკრაინის ხელისუფლებაში?*

– პრეზიდენტობის შანსი არ აქვს, მე მგონი, კონსტიტუციით ვერ გახდება, მაგრამ პრემიერმინისტრობა შეუძლია. თუ ასე გაგრძელდა და სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა, არც ეს არის გამორიცხული. რაც უფრო მწვავდება სიტუაცია უკრაინაში, მით უფრო ძლიერდება სააკაშვილის პოზიციები. ეს ვერ შეიგნო პოროშენკომ, რომ რამდენს გაამწვავებს, იმდენად სააკაშვილს აძლიერებს. ეს თუ ორი კვირის წინ ჩანდა თითქმის შეუძლებელი, დღეს აღარ ჩანს ასე.

*– რატომ?*

– იმიტომ, რომ სიტუაცია შეიცვალა ისევ და ისევ პოროშენკოს სისულელეების გამო. მას რომ არ გაემწვავებინა სიტუაცია, თავის დროზე რომ არ ჩამოერთმია მოქალაქეობა, მერე საზღვარი რომ არ ჩაეკეტა, მერე მისი დაჭერა რომ არ მოენდომებინა და ასე შემდეგ, სააკაშვილი ასე ძლიერი ვერ იქნებოდა.

*– ებრძვიან, მაგრამ ვერ დააკავეს, არ აქვთ მის წინააღმდეგ მყარი მტკიცებულებები?*

– მოსამართლემ ძალიან დიდ შარში უნდა გაყოს თავი, რომ იმ ბრალდებით დააკავოს სააკაშვილი, რომ ის შეეკრა რუსეთს და გადატრიალებას გეგმავს უკრაინაში. ასეთ სისულელეზე მოსამართლე სააკაშვილს ციხეში არ ჩასვამდა.

*– ანუ ვერ დააპატიმრებენ სააკაშვილს?*

– სისულელეა. კიდევ ერთხელ რომ მიადგნენ და დაიჭირონ, კიდევ უფრო მეტი ხალხი გამოვა ქუჩაში. პროკურატურამ მართალია გაასაჩივრა, მაგრამ ის ასრულებს იმას, რაც პროცედურით გაწერილი აქვს.

*– რუსეთის ინტერესებში შედის არეულობა უკრაინაში?*

– არეულობა რომ არ არის უკრაინაში და სიმშვიდეა, უკრაინა აკეთებს რამეს? გამოსდის რამე, უწევს რუსეთს მცირედ წინააღმდეგობას მაინც?! ჭაობშია, ჩვეულებრივ ჭაობში და ამ ჭაობიდან გამოსავალი არ არის! სააკაშვილი თუ გახდა პრემიერ-მინისტრი...

*– ის ააყვავებს უკრაინას?*

– დარწმუნებული არ ვარ ნამდვილად, რომ უკრაინას ააყვავებს, ძალიანაც რომ მოინდომოს, ეს ძალიან რთული იქნება. ძალიან გაუჭირდება. მეორე მხრივ, ის, რაც უკრაინაში ხდება, ეს ხომ გარანტირებული ჭაობია?! ამ ჭაობიდან გამოსვლის შანსი უკრაინას აქვს ნული. ამდენი ფული ჩააყარეს, ეს ფული სად წავიდა, გაუგებარია. უკრაინა ძალიან მდიდარია და გაუგებარია, ამხელა სიმდიდრე სად მიდის! უკრაინის წინააღმდეგ ომობს ალბათ რუსეთის შეიარაღებული ძალების 1% და ამხელა უკრაინა იმას ვერ უწევს წინააღმდეგობას. ეს ხომ სამარცხვინო სიტუაციაა?! ამ სიტუაციაში უკრაინა იქნება ძალიან დიდხანს, თუ სერიოზული გარდატეხა არ მოხდა.

*– პოროშენკო ვეღარ შემოაბრუნებს სიტუაციას?*

– პოროშენკოსნაირების ხელში არაფერი არ იცვლება. ამ ფონზე, დაფიქრდით, რუსეთს რომელი უფრო აწყობს, პოროშენკოსნაირი ჭაობი თუ სააკაშვილისნაირი ადამიანი, რომელსაც შანსი მაინც აქვს, რომ რაღაცა გამოუვა. აქედან გამომდინარე, რაში უნდა აწყობდეს რუსეთს, რომ სააკაშვილს ფული გადაუხადოს და სააკაშვილის სცენარი დადგას უკრაინაში?! ამაზე უკეთეს ბოდვას რომ ვერ მოიფიქრებენ სააკაშვილის მოწინააღმდეგეები და ამ საქმის შემთითხვნელები, ეს მათ გონებრივ პრობლემაზე მიუთითებს.

*– საქართველოს ხელისუფლებას რატომ არ აწყობს სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება, სავარძლების შერყევის ეშინია?*

– ორივე ხელისუფლებას ეშინია, იქაც და აქაც. საქართველოს ხელისუფლების ინტერესებშია, რომ სააკაშვილი იყოს უკრაინაში და იქ ნელნელა დასუსტდეს. საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილი ქართულ ციხეში. ალბათ ასევე არ აწყობთ სააკაშვილი იქ პრემიერ-მინისტრად. ორივე მძიმე სცენარია „ოცნებისთვის". მაგრამ თუ პოროშენკო ამდენი სისულელის კეთებას გააგრძელებს, ჩნდება დიდი შანსი, რომ სააკაშვილი იქ მოვიდეს ხელისუფლებაში.

*– იულია ტიმოშენკოსთან ერთად?*

– ტიმოშენკო რამდენად სანდო პარტნიორია, არ ვიცი. არ მგონია, სააკაშვილი ტიმოშენკოს ენდობოდეს, ან ტიმოშენკო მას.

*– სააკაშვილის უკრაინაში გაძლიერება რამდენად აძლიერებს აქ ნაციონალურ მოძრაობას?*

– რა თქმა უნდა, გააძლიერებს. ამას ემატება ისიც, რომ ნეიტრალურები ვინც არიან საქართველოში, მათშიც შეიძენს მხარდამჭერებს. სააკაშვილს საქართველოში ერთდროულად ჰყავს ფანატიკოს მომხრეთა არმია და ჰყავს ფანატიკურად მოძულეთა არმია. ორივე არსებობს. თუმცა ნეიტრალურები მეტნი არიან და ამ ნეიტრალურებში სიმპათიას გამოიწვევს სააკაშვილი. იტყვიან, რამდენს მიაღწია ამხელა ქვეყანაშიც კი.

*– ამ პროცესებმა, რაც სააკაშვილის თავს ხდება, სააკაშვილი გააძლიერა?*

– კი, დარწმუნებული ვარ. რასაკვირველია, გააძლიერა. რაც არ უნდა არ მოგვწონდეს, ეს ასეა. ვისაც არ მოსწონს, ისიც აღიარებს, რომ მიში მაგარია. რაც არ უნდა იძახონ „ოცნების" მეორეხარისხოვანმა პოლიტიკოსებმა, რომ სააკაშვილი წარსულია, კაცი არ ჩამოდის ტელეეკრანებიდან და წამყვანი ჟურნალ-გაზეთებიდან. იძახონ ახლა წარსულიაო, თვითონ ოდესმე თუ ყოფილან უცხოურ გამოცემებში და უცხოურ ტელევიზიებში?! არასოდეს!

*– თქვენ ფიქრობთ, რომ მაინც დასავლეთის ფაქტორმა გადაწონა და ამიტომ ვერ მოხდა სააკაშვილის დაპატიმრება?*

– კი, ასეა. მით უმეტეს ახლა, როცა საშინელი კრიტიკა წამოვიდა ამერიკის მხრიდან უკრაინის მისამართით. სააკაშვილმაც მშვენივრად დაიჭირა ეს მომენტი და ამ მომენტში მეტად გააქტიურდა. პოროშენკოს პოზიციები რომ ძლიერი ყოფილიყო დასავლეთში, ბუნებრივია, სააკაშვილი ამდენს ვერ გაბედავდა მის წინააღმდეგ. ძალიან ეშმაკი პოლიტიკოსია და ამას მიხვდა ძალიან კარგად.

*– კარგი პოლიტიკური ყნოსვა აქვს?*

– რა თქმა უნდა, ასეა. რაც არ უნდა იძახონ ვიღაცებმა, გუშინდელი დღეაო, ამნაირი ყნოსვა პოსტსაბჭოთა სივრცეში აქვს, მე მგონი, სამ-ოთხ კაცს.

## ბავშვთა საკვებში შეიძლება „სალმონელა" აღმოჩნდეს

საქართველოს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ფრანგულ კომპანია Lactalis-ის ბავშვთა კვების პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვის პროცესი უკვე დაიწყო. როგორც „კომერსანტს" სააგენტოში განუცხადეს, „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ" მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციიდან მიიღო შეტყობინება საფრანგეთში წარმოებულ ბავშვთა კვების პროდუქტებში „სალმონელას" შესაძლო არსებობის შესახებ. სურსათის ეროვნული სააგენტო მოკვლევას ატარებს. მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები და სურსათის ბაზრიდან გამოთხოვის პროცესი", – განაცხადეს სააგენტოში.

როგორც ცნობილია, ფრანგული კომპანია Lactalis ბავშვთა კვების პროდუქციას პარტიებს უკან გაიწვევს. ამის მიზეზი რამდენიმე ქვეყანაში სალმონელას ბაქტერიის გავრცელება გახდა. უცხოური მედიის ინფორმაციით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც სალმონელას ბაქტერიით ინფიცირებული ფრანგული რძის პროდუქტების ექსპორტირება ხდებოდა, საქართველოც სახელდება. ფრანგულმა უმსხვილესმა კომპანიამ საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის გაწვევა მას შემდეგ დაიწყო, რაც საფრანგეთში ჩვილებში სალმონელას ბაქტერიის გავრცელების 26 შემთხვევა დაფიქსირდა.

Lactalis-ის მედიასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის განცხადებით, „კომპანიის პროდუქციიდან დაახლოებით 7.000 ტონა სალმონელას ბაქტერიით არის ინფიცირებული." ინფორმაციას ფრანგული ახალი ამბების სააგენტო, Agence France-Presse ავრცელებს. კომპანია მომხდარის გამო ბოდიშს იხდის და მზად არის სალმონელათი ინფიცირებული ბავშვების ოჯახების მხარდასაჭერად.



# „3%-იანი ბარიერი კოალიციურ მთავრობას ნიშნავს“

ნათია ხურცილავა

**ჯონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საჯონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ბატონო ავთანდილ, პარლამენტი პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს. პრეზიდენტის არჩევის წესზე „ქართულ ოცნებაში“ ერთიანი პოზიცია არ იყო, თუ ვის აერჩია პრეზიდენტი – 300 ხმოსანს თუ პარლამენტს. პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძემ განაცხადა, რომ საარჩევნო კოლეგია აირჩევს პრეზიდენტს. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?***

– პარლამენტი კენჭს უყრის არა მხოლოდ იმ ხუთ საკითხს, რომლებზეც არის საუბარი, არამედ მთლიანად კონსტიტუციურ კანონპროექტს. უცნაური რაღაც მოხდა: ჯერ მივიღეთ სამი მოსმენით კონსტიტუცია, რომელსაც პრეზიდენტმა ვეტო დაადო, შემდეგ პრეზიდენტის ვეტო პარლამენტმა გადალახა, ახლა პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ხელახლა კენჭი უყაროს მთლიანად კონსტიტუციის ტექსტს. ცალკე ვერ უყრის იმ შენიშვნებს კენჭს, რადგან ასეთ რამეს არ იცნობს პრაქტიკა.

ერთ-ერთი საკითხი ეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, რაც თქვენ გაინტერესებთ. თავდაპირველად მმართველი გუნდი თვლიდა, რომ პრეზიდენტი უნდა აირჩიოს არა ამრჩევთა კოლეგიამ, არამედ უშუალოდ პარლამენტმა და მოტივად მოჰქონდა ის, რომ ხმოსნები ადმინისტრაციული წესით არიან არჩეული.

ვერ გავიგე, ეს რა არგუმენტია, ერთიც საჯარო მოხელეა და მეორეც. ამიტომ ეს არგუმენტი ძალიან სუსტი იყო. ექსპერტებმა, პოლიტიკოსებმა, ყველამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრეზიდენტს აირჩევს არა პარლამენტი, არამედ კოლეგია. ახლა საუბარია ტერმინებზე, მოაშორეს ხმოსნები და დატოვეს საარჩევნო კოლეგია.

***– როგორ დაკომპლექტდება საარჩევნო კოლეგია, რომელიც 300 კაცისგან შედგება?***

– დიახ, საარჩევნო კოლეგია 300 კაცისგან შედგება. 150 კაცი იქნება პარლამენტის წევრი, მეორე 150 კაცი კი ადგილობრივი თვითმმართველობის, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები არიან. ვინ იქნებიან ეს წარმომადგენლები – გამგებლები, მერი თუ სხვა, ამას მოგვიანებით დააკონკრეტებს ორგანული კანონი.

***– საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს ვინ ირჩევს, როგორია დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა?***

– სხვადასხვა პრაქტიკაა. ზოგან პრეზიდენტი პირდაპირი წესით ირჩევა, ზოგან მას კოლეგია ირჩევს, ზოგან კი – მთავრობა.

რაც შეეხება იმას, რომ პრეზიდენტს პოლიტიკური თანამდებობის პირები არ უნდა ირჩევდნენ, მე ამაში კონსტიტუციონალისტთა დიდ ნაწილს ვეთანხმები. პარლამენტიც კი არ უნდა ირჩევდეს, პრეზიდენტი პირდაპირი წესით ხალხმა უნდა აირჩიოს, მე პირდაპირი წესით არჩევნების მომხრე ვარ.

თუ არგუმენტებს ვეძებთ, მაშინ გეტყვით, რომ საპარლამენტო რესპუბლიკათა ორ მესამედში პრეზიდენტი პირდაპირი, საყოველთაო წესით ირჩევა. მიაქციეთ ყურადღება – საპარლამენტო რესპუბლიკათა ორ მესამედში. არგუმენტი, რომ ვინაიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზეა საუბარი და

**ავთანდილ დემეტრაშვილი: „ხალხს არ აინტერესებს, პრეზიდენტს ხალხი აირჩევს თუ საარჩევნო კოლეგია“**

აუცილებლად არაპირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული, არც დამაჯერებელია და არც ამის დიდი პრაქტიკაა. თუ პოლიტიკური თანამდებობის პირებზეა საუბარი, მაშინ მით უფრო პარლამენტმა არ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი.

***– რატომ, ერთპარტიული პრეზიდენტის საფრთხე არსებობს?***

– რასაკვირველია. კიდევ კარგი, ამაზე არ წავიდა „ქართული ოცნება“. თუმცა, რა თქმა უნდა, მმართველ პარტიას ვერ დააბრალებ, რომ მათ იმიტომ უნდოდათ პარლამენტის მიერ ყოფილიყო პრეზიდენტი არჩეული, რომ თავიანთი კანდიდატი გაეყვანათ, რადგან არაპირდაპირი წესით საპრეზიდენტო არჩევნები 2024 წელს ამოქმედდება, 7 წლის შემდეგ, ასე შორსმიმავალ პოლიტიკურ პროგნოზს კი ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ გაიკეთებს.

ხელისუფლების გადაწყვეტილება, ასე თუ ისე, გონივრულია, ვგულისხმობ პრეზიდენტის არჩევას არა პარლამენტის, არამედ საარჩევნო კოლეგიის მიერ. ტერმინი „ხმოსნები“, რომელიც ვახტანგ ხმალაძეს ეკუთვნოდა, მოაცილეს და დატოვეს „საარჩევნო კოლეგია“.

***– პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კონსტიტუციით მას ბევრი უფლება აქვს შეკვეცილი, მაინც რას ნიშნავს?***

– საქართველოში პარტიული სისტემა არ არსებობს, სამართლებრივი კულტურა მოსახლეობაში არ არის ძალიან მაღალი, რბილად ვამბობ. არ არის ორპალატიანი პარლამენტი. საპარლამენტო რესპუბლიკის ქმედითობის ამოსავალი არის დაბალანსებული სისტემა. დაბალანსება კი ხდება ან მეორე პალატით, სენატით ან პრეზიდენტით. სენატის შექმნის რეკომენდაციას მუდმივად გვაძლევდა ვენეციის კომისია, ამ რეკომენდაციას ჯერ კიდევ მაშინ გვაძლევდა, როდესაც მე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი, თუმცა მანამდეც – 1994 წლიდან.

პრეზიდენტს შეუძლია დააბალანსოს პარტიული მისწრაფებები ანუ წინ აღუდგეს ერთპარტიულ მმართველობას.

***– თუ პრეზიდენტი პარტიის წევრია, როგორც სააკაშვილი იყო?***

– გასაგებია, მაგრამ სააკაშვილის ასოცირება პარტიასთან მაინც ძნელია. ის არის პიროვნება განსხვავებული მსოფლმხედველობითა და სხვა წარმოდგენებით. საპარლამენტო რესპუბლიკაში მხოლოდ ის კი არ არის საშიში, რომ პრეზიდენტი იმავე პარტიიდან იქნება არჩეული, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა გააჩნია, არამედ შეიძლება მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება და პრეზიდენტი ერთი პოლიტიკური მიმართულების იყოს. მაშინ გაძლიერდება ხელისუფლების ის კომპონენტი, რომელსაც თანამშრომლობის კომპონენტი ეწოდება და დასუსტდება მეორე კომპონენტი, რომელსაც დაბალანსების კომპონენტს ვუწოდებთ.

ეს არის მოსალოდნელი, მაგრამ მმართველი გუნდი რომ უშვებს საარჩევნო ბარიერის დაწევას თუნდაც ერთჯერადად 3%-მდე, ამას მივესალმები. 3%-იანი საარჩევნო ბარიერი კი ნიშნავს იმას, რომ პარლამენტში, სულ ცოტა, 5 პარტია შევა. 3%-იანი ბარიერი ლეიბორისტულმა პარტიამაც კი გადალახა, 2020 წლის პარლამენტში შალვა ნათელაშვილს ვიხილავთ.

***– ეს ხელს შეუწყობს მრავალპარტიულობას?***

– პარტიული სისტემა ცოტათი დაიხვეწება. მმართველი გუნდი უფრო დაბალანსებული იქნება. არ ვიცი, რამდენ პროცენტს აიღებს მმართველი პარტია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ 3%-იანი საარჩევნო ბარიერი კოალიციური მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა. მე ვისურვებდი, რომ 3%-იანი ბარიერი დარჩეს, თუ მაჟორიტარული არჩევნებიც გაუქმდება, მაშინ კოალიციური მთავრობის შექმნას წინ ნამდვილად არაფერი დაუდგება.

***– ამომრჩეველი პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას შეეგუება? შეიძლება კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება გახდეს საჭირო და კვლავ პირდაპირ აირჩიოს პრეზიდენტი ხალხმა?***

– სიმართლე გითხრათ, მე დიდ ინტერესს ვერ ვხედავ საზოგადოების მხრიდან პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი კი ითხოვს პირდაპირ არჩევნებს, მაგრამ არც იქ არის მაინცდამაინც ძლიერი არგუმენტები. ვენეციის კომისია ამ საკითხში სრულ თავისუფლებას გვაძლევს, გვეუბნება, ისეც შეიძლება და ასეც, ეს თქვენზეა დამოკიდებულიო. მე ვფიქრობ, საზოგადოების უმრავლესობა ამ საკითხთან დაკავშირებით გულგრილია.

## ისნის რაიონში 25-ზე მეტი უნებართვო მშენებლობა გამოვლინდა

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ისნის რაიონში, მელაანის ქუჩაზე, 25-ზე მეტი უნებართვო მშენებლობა გამოავლინა.

ადგილზე მოსახლეობას თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი და ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე შეხვდნენ.

როგორც ირაკლი ბენდელიანმა განაცხადა, მოსახლეობას გონივრული ვადა მიეცა, რათა უკანონო ნაგებობების დემონტაჟი თავად მოახდინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები გატარდება.

– ჩვენი ერთ-ერთი დაპირება იყო და აქტიურად ვმუშაობთ, რომ ოჯახები, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სახლებში, თაობები გაზარდეს, მაგრამ გარკვეული ბიუროკრატიული მიზეზების გამო ქონების რეგისტრაცია ვერ მოახერხეს, საცხოვრებელი ფართები პერიოდულად დაუკანონდეთ, მაგრამ აქ სრულიად განსხვავებული შემთხვევაა, როდესაც ქაოსურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშეა აშენებული ნაგებობები. ვესაუბრეთ მოსახლეობას, მივცემთ გონივრულ ვადებს და შესაბამისი ღონისძიებები გატარდება, – აღნიშნა ირაკლი ბენდელიანმა.

გიორგი ბაგრატიონის განცხადებით, შენობის ე.წ. მესაკუთრეებმა ზედამხედველობის სამსახურისგან გაფრთხილება მიიღეს. უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით კი, კონტროლი გამკაცრდება და თბილისის მასშტაბით, შესაბამისი ღონისძიებები გატარდება.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობა 10.000 ლარით დაჯარიმებას იწვევს და შენობა დემონტაჟს ექვემდებარება.

## გაეროს ორგანიზაციებში ელჩად ვიქტორ დოლიძე, გერმანიაში კი ელგუჯა ხოკრიშვილი დანიშნეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე დასანიშნად ვიქტორ დოლიძის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დასანიშნად კი ელგუჯა ხოკრიშვილის კანდიდატურები წარადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო უწყებიდან აცნობეს, საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხელი უკვე მოაწერა მთავრობის განკარგულებას აღნიშნული კანდიდატურების საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისთვის წარდგენის თაობაზე. დღეს ელჩების კანდიდატურებს საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს.

ვიქტორ დოლიძე 2016 წლიდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. იგი გახლავთ კარიერული დიპლომატი და 2007 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. 2012 წელს ვიქტორ დოლიძე გახდა საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, სხვადასხვა დროს ეკავა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტის, ავსტრიასა და საბერძნეთის რესპუბლიკასთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციები. პოლიტიკურ მოღვაწეობამდე ვიქტორ დოლიძე ეწეოდა აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას.

2005-2009 წლებში გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და საქართველოს დიპლომატიურ მისიებში საზღვარგარეთ. 2004-2005 წლებში ასევე გახლდათ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კანდიდატად წარდგენილი ელგუჯა ხოკრიშვილი 2014-2015 წლებში გახლდათ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრი, ეკავა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, შემდეგ კი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობა. ამჟამად ელგუჯა ხოკრიშვილი საქმიანობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საელჩოს უფროსი მრჩევლის პოზიციაზე.

ელგუჯა ხოკრიშვილს აქვს გერმანიაში აკადემიური საქმიანობის დიდი გამოცდილება. 2002-2008 წლებში მოღვაწეობდა პოტსდამის უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე. სხვადასხვა დროს საქმიანობდა როგორც ექსპერტი და პროექტის ხელმძღვანელი გერმანიის მთავრობის მიერ განხორციელებულ პროგრამებში.

## ვინ გადაიხდის ავტომობილებზე ქონების გადასახადს?

ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა 2018 წლიდან დაიწყება. გადასახადის გადახდის ვალდებულება 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს შეეხება.

– 2017 წლის შემოსავლების მიხედვით, ქონების დეკლარირება 2018 წლის 1 ნოემბრამდე მოხდება. შესაბამისად, 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა სწორედ 2018 წლიდან მოუწევთ, – აღნიშნავენ ფინანსთა სამინისტროში.აღსანიშნავია, რომ გადასახადის წლიური განაკვეთი გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით არის დიფერენცირებული.

კერძოდ, 40 ათასიდან 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.05% და არა არაუმეტეს 0.2% იქნება გადასახდელი, ხოლო 100.000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.8% და არაუმეტეს 1%.

# ირანულ კინოფესტივალზე ქართველმა ქალბატონმა საყურე მოიხსნა და ირანელ მსახიობს უსახსოვრა

მანანა იაშვილი

## ინტერვიუ პოეტსა და მთარგმნელთან, პროფესორ გიორგი ლობჟანიძესთან

***– ვიცი, მცდელობა არ დააკელით, მაგრამ ირანული კინოს ფესტივალი, 4-7 დეკემბერს, თითქმის არ გაშუქდა მედიაში. ასევე ნაკლებად გაშუქდა საერთაშორისო კინოფესტივალიც, რომელზეც ირანული კინოც იყო წარმოდგენილი, რატომ?***

– სამწუხაროდ, ეს ირანული ფილმების პირველი ფესტივალი, რომელიც ირანის საელჩოს ორგანიზებული ღონისძიება იყო, მართლა არ გაუშუქებია ჩვენს მედიას. არადა, ნამდვილად მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდიდა ჩვენი უახლოესი მეზობლების შესახებ, რადგან კინოხელოვნებაში ყველაზე უკეთ აისახება ამა თუ იმ ქვეყნის დღევანდელობა და იქ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები. საინტერესოა, რომ ირანის საელჩოს ამ ღონისძიებას არცერთ საღამოს მაყურებელი არ დაჰკლებია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საატო დარბაზი თითქმის მთლიანად ივსებოდა. სწორედ თსუ იყო ამ ღონისძიების ერთ-ერთი პარტნიორიც. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ გაშუქდა, ამაში ნამდვილად ვერ ვერკვევი. ჩვენს მედიას კულტურა ნაკლებად აინტერესებს. სამაგიეროდ, შიდაპოლიტიკური კინკლაობანი, პრესისა და ტელევიზიის მიერვე შექმნილი კომიკური, ძირითადად, არაფრისმაქნისი, პერსონაჟების არაარსებითი დაპირისპირებები და უხამსობა ამ მედიის „საყვარელი“ თემებია. ვერც კი ხვდებიან, რომ ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი. ირანის საელჩოს ორგანიზებული ღონისძიების გაშუქებაზე რა უნდა ვთქვა, როცა მართლა არასათანადოდ გაშუქდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ისეთი მაღალი დონისაა, რომ მისით ნებისმიერი მოწინავე ქვეყანა იამაყებს.

***– ჩვენ ადრე კულტურულ ერად ვითვლებოდით. გვიყვარდა ახალი სპექტაკლების, გამოფენების, ფილმების ნახვა და მსჯელობა. კონცერტებსა და მით უმეტეს ფესტივალებს ხომ მთელი თბილისი ესწრებოდა. ახლა რა დაგვემართა?***

– ჩვენ ნამდვილად მაღალკულტურული ერი ვართ. ამის დასტურია თუნდაც წიგნის გამოფენებზე ხალხმრავლობა. ხშირად იქ ნახავთ ადამიანებს, რომლებიც ახალ წიგნებში უკანასკნელ კაპიკებს ხარჯავენ. ქართველს ბუნებითი ლტოლვა აქვს განათლების, კულტურისა და სიახლეებისადმი! ფესტივალზე დამსწრეთა რიცხვიც, როგორც გითხარით, ცოტა არ ყოფილა. უბრალოდ, სხვა საქმეა, რას აშუქებს ტელევიზია და როგორ. ის, რომ რომელიმე უვიც ჟურნალისტს კინოფესტივალი „არამომგებიანი თემა“ ჰგონია, სულაც არ გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის განწყობასა და მისწრაფებას. არა მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევებისას, არამედ, საერთოდ, მგონია, რომ ქართული ჟურნალისტიკა საკმაოდ ასცდა სინამდვილეს. ერთ-ერთი სატელევიზიო არხის რეკლამაც მახსოვს, დიდი ასოებით რომ ეწერათ ქალაქში გამოკრულ ბანერებზე: „ახალი ამბები კეთდება აქ!“ ქართულს რომ თავი დავანებოთ, „ამბების კეთება“ თავისთავად ამაზრზენი რამაა. ამ ჩიქორთული ქართულით იმაზე გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე რომელიმე სოციოლოგიური კვლევა გვიჩვენებდა. ჩვენს „პარტიულ დანამატ“ მასმედიას სერიოზულად ჰგონია, რომ მათი ფუნქცია ახალი ამბების კეთებაა და არა – ამ ამბების გაშუქება. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, კულტურა უცხო ხილია. აქ კულტურა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის ჩართული იქნება პროპაგანდისტული მანქანის წრებრუნვაში. პოლიტიკაზეც არ არის საუბარი, თორემ, ჩვენ რომ საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტი და ამ კონტექსტში საქართველოს ადგილი გვაინტერესებდეს, არცერთი თავმოყვარე ჟურნალისტი ირანის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე დასწრების შანსს ხელიდან არ გაუშვებდა!

***– გასულ წელს „კავკასიურ სახლში“ თქვენ აჩვენეთ და პარალელურად თარგმნეთ რამდენიმე ირანული ფილმი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ის ფილმები გარკვეულწილად იტალიური ნეორეალიზმის გავლენას განიცდიდნენ. ამ მხრივ ახლანდელ ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმებს როგორ შეაფასებდით?***

– მე კინომცოდნე არ ვარ და, ცხადია, თავს არ ჩავიგდებ უხერხულ სიტუაციაში, რომ ახლა ირანულ კინოზე პროფესიული მსჯელობა წამოვიწყო. კავკასიურ სახლში ჩემ მიერ თარგმნილი და იქვე ექსპრომტად გახმოვანებული რამდენიმე ფილმის ჩვენებაც თავიდან ჩაფიქრებული მქონდა, როგორც მეგობრებისათვის, რამდენიმე ახლობელი ადამიანისათვის გამიზნული ერთგვარი პერფორმანსი. უბრალოდ, როგორც მაყურებელს, რამდენიმე ახალი სპარსული ფილმი ძალიან მომეწონა და ამ ფილმების მეგობრებისათვის ჩვენება ამ ფორმით გადავწყვიტე. მართალია, მერე და მერე უკვე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, მაგრამ ეს მაინც, როგორც მე ვეძახდი, „მეგობრული კინოჩვენებები“ იყო.

***– უარყოფითი კონტექსტით არ მიხსენებია იტალიური ნეორეალიზმი, პირიქით, კინოხელოვნების შესანიშნავ მიღწევად ვთვლი. ახლა ჩამოტანილ ფილმებზე რას იტყოდით?***

– რაც შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსა და მათი ექსპერტების მიერ შერჩეულ ფილმებს, აქ ცოტა სხვაგვარი ვითარება გვქონდა. როგორც დავინახე, საელჩოს უნდოდა, ყოვლად არაპროპაგანდისტულად (და ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია) დაინტერესებული ქართული პუბლიკისათვის ეჩვენებინა დღევანდელი ირანი, ამ ქვეყნის შიდა სიტუაცია და ადამიანური პერსპექტივა. ვფიქრობ, ორგანიზატორებმა დასახულ მიზანს შესანიშნავად მიაღწიეს. ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელმაც ოთხივე ეს ფილმი ნახა, იმ დღეებში მომწერა: „რაღაც მოულოდნელად კარგი განვიცადე ამ საღამოს. ჩვენში გამოფიტულ-გაუფერებული და გაბერწებული ურთიერთობების მაგივრად, ფილმის განმავლობაში ნამდვილ ადამიანურ სისადავესა და სიმშვიდეს ვუყურე. ჩვენი საგიჟეთისგან განსხვავებით, რისი გადარჩენისთვის ზრუნავენ თურმე მუსლიმანურ სახელმწიფოში. როგორი სანატრელად დასაჯერებელი ცხოვრება იყო ნაჩვენები... და კიდევ ტიტრებით შემოთავაზებული მგრძნობიარე ქართული. შემთხვევით მთარგმნელი პოეტი ხომ არ ბრძანდება?“

***– თბილისის კინოფესტივალზეც იყო ერთი ირანული ფილმი.***

– დიახ, ეს იყო რეჟისორ აბედ აბესთის ფილმი „სიმულაცია“ . რეჟისორის ეს ფილმი უკვე პროფესიული კრიტერიუმებით იყო შერჩეული და, ჩემი აზრითაც, ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე სურათია, თანაც თუ მისი რეჟისორის ასაკს გავითვალისწინებთ, რომელიც სულ რაღაც 26 წლისაა, ამითაც ბევრ რამეს დავასკვნით დღევანდელ ირანზე, მინიმუმ, რომ ასე ახალგაზრდა კაცს ამ ქვეყანაში თავისუფლად შეუძლია გადაიღოს სრულმეტრაჟიანი ფილმი და ეს ფილმი, მიუხედავად სინამდვილის შეულამაზებელი ასახვისა და კიდევ ათასი სხვა ნიუანსისა, რომელთა ეკრანზე წარმოჩენა ვინმეს შესაძლოა ისლამური ირანისათვის წარმოუდგენელ სითამამედ მოეჩვენოს, უკვე თავისუფლად გადის თვითონ ირანის კინოთეატრებში.

***– ჩვენს წარმოდგენაში ირანში იდევნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ხელოვანებს დევნიან და სჯიან. ფესტივალმა დაამტკიცა, რომ იქ შესაძლებელია ნორმალური ფილმის გადაღება. თუ არის გარკვეული აკრძალვა, რომელიც ჩვენ ვერ შევამჩნიეთ?***

– ირანული ცენზურა ჩემთვისაც კი ძალიან უცნაური, რომ არ ვთქვა, „გამოუცნობი“ მოვლენაა. ცხადია, ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური კონიუნქტურიდან გამომდინარე, იქაურ კინემატოგრაფსა და საერთოდ ხელოვნებაში არსებობს რაღაც შეზღუდვები, მაგრამ, კონკრეტულად რა, ძნელი სათქმელია. ხანდახან მგონია, რომ თანამედროვე ირანული ცენზურა გაცილებით ეპატაჟურია, ვიდრე იმავე ხელოვნების ნაწარმოები, რომლის გაკონტროლებაც ამ ცენზურას მოეთხოვება თუ ევალება. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ ნამდვილად ძნელია იმის განსაზღვრა, რა „მოეწონება“ და რა – არა ამ ცენზურას. ხანდახან ისეთი კინოსურათი გადის სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რომლის ნებართვაც წარმოუდგენელია იმ ადამიანისათვის, რომელიც ასე თუ ისე ერკვევა ზოგად სიტუაციაში, ხან კი სრულიად ჩვეულებრივი რამ შეიძლება იქცეს ხმაურისა და აკრძალვის მიზეზად. საერთოდ, ერთი რამე შეიძლია ვთქვა: არ არსებობს პრობლემა, რომელიც არ დაისმის ან რომლის დასმაც არ შეიძლება დღევანდელ ირანულ ხელოვნებასა და კინემატოგრაფში. დიდი ქვეყანაა და, შესაბამისად, შესაძლებლობებიც, მათ შორის, ადამიანური რესურსიც ძალიან დიდია.

***– ჩემთვის ისიც უცხოა, რომ ირანელ ქალებს ჩადრის გარეშე შეუძლიათ საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს – მსახიობობა და კინოში გადაღება. ამის უფლებას აძლევს ირანის ხელისუფლება?***

– აი, კიდევ ერთი სტერეოტიპი, რომელიც ირანის შესახებ თავს დასავლურმა მედიამ მოგვახვია. ირანში ყველა თაობის ქალი მსახიობია, მათ შორის არიან უბრწყინვალესი მსახიობები, რომლებსაც მუშაობისა და ცხოვრების არაჩვეულებრივი პირობები აქვთ შექმნილი. ლეილა ჰათამი უკვე ვახსენე. თბილისურ ფესტივალზე კი ბრძანდებოდა ქალბატონი სამირა ჰასანფური, რომლის ბრწყინვალე თამაშმაც ფილმში „მაყვალი“ აღაფრთოვანა ქართული აუდიტორია. დარბაზში მყოფმა ერთმა არაჩვეულებრივმა ქარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# დასავლელ ექსპერტებს პუტინის ბლიცვიზიტი აშფოთებთ

## რა იცვლება ახლო აღმოსავლეთში იერუსალიმგეიტის შედეგად?

მარიამ მჭედლიშვილი

**მსოფლიოში ჩოცა გაძეღდება ხმაუჩიანი ჩეაქცია აშშ-ის პჩეზიდენტის ეჩთი ჯვიჩის წინანდეე განცხადებაზე, ახლო აღმოსავლეთს მოუღოდნელად ხანმოკლე დჩოით ესტუმჩა ჩუსეთის ღიდეჩი. პუტინი ჯეჩ ჩავიდა სიჩიაში, სადაც ომი დამთავჩდა, ასევე – ეგვიპტესა და თუჩქეთში. დასავლეღმა ექსპეჩტებმა ამ ბლიცვიზიტში ჯეჩმლის გავლენის დემონსტჩიჩება დაინახეს.**

დონალდ ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას უკმაყოფილება მოჰყვა როგორც ევროპაში, ისე მუსლიმანურ სახელმწიფოებში. ითქვა, რომ ეს შეუძლებელს ხდის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების პროცესს.

პრობლემას ვიზიტის დროს შეეხნენ პუტინი და ერდოღანი. მათ ერთად გამოაცხადეს, რომ ტრამპის ეს გადაწყვეტილება არ უწყობს ხელს ახლო აღმოსავლეთში ისედაც დაძაბული ვითარების მოწესრიგებას.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რეგიონში დიდი გარდატეხაა და რუსეთი ხდება არაბული სამყაროს ახალი პატრონი. მანამდე საუბარი იყო იმაზე, რომ მოსკოვი მთავარ მოთამაშედ რჩება სირიაში ომის დამთავრების შემდეგ.

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება იერუსალიმის თაობაზე, „ნიუ იორკ თაიმსის“ შეფასებით, იწვევს აშშ-ისა და ისრაელის იზოლაციას, აღშფოთებას ევროპელ მოკავშირეებსა და არაბულ სამყაროში. ის არწმუნებს არაბულ საზოგადოებას იმაში, რომ აშშ-ს ანტიმუსლიმანური პოზიცია უკავია.

ლიბანმა რამდენიმე დღის წინ მოუწოდა არაბული სახელმწიფოების ლიგას, გამართოს რიგგარეშე სამიტი და გამოუცხადოს სანქციები ვაშინგტონს. ლიგამ, თავის მხრივ, მიმართა აშშ-ს, გააუქმოს ეს საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, აღიაროს პალესტინის დამოუკიდებლობა და მის დედაქალაქად – აღმოსავლეთი იერუსალიმი.

მიუხედავად არაბული სახელმწიფოების რეაქციისა, ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ საუდის არაბეთი და მისი პარტნიორები მკვეთრ ნაბიჯებს ვერ გადადგამენ იმის გამო, რომ ისინი დამოკიდებული არიან აშშ-ზე.

არსებობს ვარაუდი, რომ იერუსალიმთან დაკავშირებული გადაწყვეტილება წარმოშობს ახალ ჯიჰადისტურ მოძრაობას ახლო აღმოსავლეთში. ისლამისტური დაჯგუფებები შეიძლება შეიქმნას პალესტინასა და საუდის არაბეთში. მათგან მოსალოდნელია სარაკეტო დარტყმები ისრაელზე, ასევე ტერორისტული აქტები ევროპასა და აშშ-ში.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აშშ-ს და ისრაელს საკუთარი გათვლები აქვთ. კერძოდ, ვაშინგტონს სჭირდება თავისი სამხედრო ძალების ყოფნის გამართლება ახლო აღმოსავლეთში, ისრაელი კი განაგრძობს პალესტინის ტერიტორიების მითვისებას. ამისთვის აუცილებელია დაძაბულობის ახალი კერა.

ანალიტიკოსები ამ გადაწყვეტილებას ირანსაც უკავშირებენ. მათი აზრით, აშშ გეოპოლიტიკური მარცხის შემდეგ უფრო თამამად მოქმედებს. იგი არ უწევს ანგარიშს მოკავშირეებს, მას სურს, არ იყოს დამოკიდებული გაეროს უშიშროების საბჭოზე, სხვა ორგანიზაციებზე. ვაშინგტონს უნდა, გამოიწვიოს ირანი.

ირანი ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ მოქმედებებზე არ გადასულა, თუმცა, მისმა სიტყვიერმა რეაქციამ არ დააყოვნა.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ „ჰამასის“ ლიდერ ისმაილ ჰანიასთან სატელეფონო საუბრისას მას აშშ-ისრაელის წინააღმდეგ ძალების გაერთიანებისაკენ მოუწოდა:

– პალესტინის ყველა მოძრაობამ ერთიანად უნდა გასცეს პასუხი სიონისტურ რეჟიმსა და ამერიკას. ისლამური სამყარო ერთად უნდა გამოვიდეს ამ ბედუკუღმართი პროექტის წინააღმდეგ.

ყველა ნიშნის მიხედვით, რეგიონში სიტუაცია უფრო გართულდა და არსებობს ახალი ისლამური სახელმწიფოს შექმნის პირობები.

# ნავთობის ფასი 65 დოლარამდე გაიზარდა

ნავთობის ფასი 2015 წლის ზაფხულის შემდეგ პირველად გაიზარდა 65 დოლარამდე, რაც გაერთიანებული სამეფოს ჩრდილოეთის ზღვის მთავარი, ფორტისის ნავთობსადენის დროებითი დახურვის შედეგია. ამან გავლენა შავი ოქროს გლობალურ ფასებზე იქონია.

დეკემბერში ფორტისის დღიური გამტარუნარიანობა 406.000 ბარელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის ერთ-ერთ მონაკვეთზე სერვისმა ბზარები აღმოაჩინა, რის გამოც ნავთობსადენი რემონტზე დაიხურა. ეს ამ ნავთობსადენზე პირველი საგანგებო სიტუაციაა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ბრენტ მარკის ბარელი ნავთობის ფასი 92 ცენტით გაიზარდა და 65.61 დოლარს მიაღწია. ბოლოს ამ მარკის ნავთობის ფასი 65 დოლარზე მაღლა 2015 წლის ივნისში იყო. ამერიკული ნედლი ნავთობის ფასი მხოლოდ 31 ცენტით, 58.30 დოლარამდე გაიზარდა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის განახლდება ნავთობსადენის მუშაობა. ამ სიტუაციაში, ბაზარზე სადაზეები „ხარებს“ (ზრდაზე მომუშავე ინვესტორებს) უპყრიათ და, შესაბამისად, სიტუაციის გარკვევამდე უპირატესობა მათ ექნებათ. ეს კი ნიშნავს, რომ ნავთობის ფასის შემდგომ ზრდას სოლიდური პერსპექტივა აქვს.

ფორტისის ნავთობსადენი გლობალური ბაზრისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მასში გატარებული ნედლი ნავთობი განსაზღვრავს ბრენტის მარკის ფასს.

ფორტისზე შეფერხების გარდა, ნავთობის ფასს ზრდისკენ ის გარემოებაც უბიძგებს, რომ ამერიკის ნავთობმარაგების შევსებაც შეფერხებულია. პროგნოზის შესაბამისად, ამერიკული მარაგი 3.8 მილიონი ბარელით შემცირდება, რაც ნიშნავს, რომ კლება ზედიზედ მეოთხე კვირას გაგრძელდება.

ბრენტისა და ამერიკული მარკის ნავთობის ფასებს შორის განსხვავების ზრდას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ამერიკაში ნავთობის წარმოება განუხრელად იზრდება. ამის გამო, ფასებს შორის სხვაობა 7 დოლარზე მეტია. ასეთი სხვაობა კი უკვე ორ წელიწადზე მეტია, არ დაფიქსირებულა.

# ონლაინსესხების კომპანიები მოსახლეობის ძარცვას აგრძელებენ

ონლაინსესხები ქართულ ბაზარზე გამოჩენისთანავე უამრავი პრობლემის წარმომშობ ფაქტორად მოგვევლინა. არაადეკვატურად მაღალი, 500-1000%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, სხვის სახელზე სესხის აღების შესაძლებლობა, სფეროში აკუმულირებული თანხების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, სესხებზე არასრულწლოვანების წვდომა, პრობლემური სესხების ამომღები კომპანიები, ე.წ. კოლექტორების ზღვარგადასული თავხედობა – მოქალაქეთა მიმართ მუქარის, შანტაჟის, დაშინების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება – ეს და კიდევ სხვა უამრავი პრობლემა არსებობდა, რაზეც საზოგადოება და მედია, მათ შორის „ბანკები და ფინანსები“ პრაქტიკულად ყოველდღიურად ამახვილებდა ყურადღებას.

კომპანიები ძირითადად მხოლოდ ზემოგებაზე ფიქრობდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ მათი საქმიანობის გამო შექმნილ არაერთ პრობლემას. ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ კიდევ უფრო დამძიმებული ისედაც მძიმე სოციალური ფონი არაერთხელ გამხდარა საზოგადოებისა და სფეროს სპეციალისტების მსჯელობის საგანი. მძიმე კითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ყველა თანხმდებოდა ერთზე – სფეროს რეგულირება აუცილებელი იყო, თუმცა, შედეგამდე საკმაოდ გვიან, მხოლოდ 2017 წელს მივიდნენ და ონლაინსესხების ორგანიზაციებსაც კონკრეტული რეგულაციები დაუწესდათ, – რეგულაციები, რასაც გარკვეულ ჩარჩოებში, შეზღუდვების ქვეშ უნდა მოექცია ონლაინსესხები. რეგულაციებმა იმუშავა, წლიური მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 100%-მდე შეიზღუდა, ონლაინ სასესხო კომპანიები ვალდებულნი გახდნენ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციად დარეგისტრირებულიყვნენ და დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება მიეცა, მიეღო თუნდაც მწირი ინფორმაცია სექტორში არსებული ფინანსური რესურსების შესახებ.

ონლაინსესხის პიონერად საქართველოში ვივუს-ი მიიჩნევა. რეალურად ვივუს-ი შპს „4 ფინანსის“ ბრენდია, ერთგვარი სამარკო ნიშანი. ვივუს-ი დღემდე ინარჩუნებს ქართულ ბაზარზე წამყვან პოზიციას და ამაში თავის როლი ითამაშა თავის დროზე წარმოებულმა ხანგრძლივმა და აგრესიულმა სარეკლამო კამპანიამ და უკვე რეგულაციების შემოღების შემდგომ არსებულ

წესებთან სწრაფად ადაპტირებამ.

თუმცა, როგორც ჩანს, მოკრძალებულ მარჟაზე მუშაობა ვივუს-ის, უფრო სწორად, მისი დედა კომპანიის – „4ფინანსის“ სტილი არ არის. ახლახან ბაზარზე გამოჩნდა ონლაინსესხების გამცემი კომპანია კიმბი.გე, რომელიც 2000 ლარამდე სესხებს 3-დან 24 თვემდე ვადით გასცემს. საქმე ის არის, რომ კიმბი.გე ასევე „4ფინანსის“ ბრენდია. უბრალოდ, თუკი ვივუს-ი სახის შენარჩუნებას ცდილობს, კიმბი.გე ამაზე არ დარდობს და მომხმარებლის ძველებურად ძარცვის დახვეწილი და გრძელვადიანი სქემით მოქმედებს.

„ბანკებმა და ფინანსებმა“ მარტივი დაკვირვებისა და გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ, მიუხედავად კიმბი.გე-ის მიერ გაცხადებული 3-თვიანი პერიოდისა, ის სესხებს, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში 24 თვით გასცემს. მაგალითად, 500– ლარიანი სესხის მომსახურება 24 თვის განმავლობაში მომხმარებელს 929 ლარი უჯდება.

კიმბი.გე-მ იგივე 500 ლარი, მაგალითად, 3 თვით რომ გასცეს, ამ შემთხვევაში მისი მომსახურება 580 ლარს არ გადააჭარბებს. მაგრამ კიმბი.გე მცირე თანხასაც კი 24 თვეზე, ჟარგონი რომ გამოვიყენოთ, „ატენის“ მომხმარებელს. საპროცენტო სარგებელთან მიმართებით რეგულაცია არ ირღვევა, მაგრამ, რამდენად პატიოსნად იქცევა კომპანია მომხმარებელთან მიმართებით, თავად განსაჯეთ.

„4ფინანსისა“ და მისი კიმბი.გე-ს მაგალითი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის. ნებისმიერი ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციის საიტზე შესვლისთანავე ჩანს, რომ ისინი პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, მაქსიმალური 95-100%-იანი წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთით სთავაზობენ სესხებს მომხმარებელს. პირობები, ფაქტობრივად, მსგავსია. ხშირ შემთხვევაში, სესხის მინიმალურ ვადად მითითებული აქვთ 3 თვე ან მეტი, 200-300-ლარიანი სესხის შემთხვევაშიც კი, რაც მათ საშუალებას აძლევს, დამატებითი სარგებელი მიიღონ ყოველთვიურად და მომხმარებელს მაქსიმალური პროცენტი გადაახდევინონ. ასეთებია ამიცა.გე, რომელიც 250-ლარიან სესხს მინიმუმ 3– თვიანი ვადით სთავაზობს მომხმარებელს. მინიმუმ 3-თვიანი ვადა აქვთ მონეუმან.გე-ს, გრანდოო.გე-ს, ცრედია.გე-ს და თითქმის ყველა სხვას. აი ლენდო-გე საერთოდაც 100– ლარიან სესხსაც კი მინიმუმ 6 თვიანი ვადით გასცემს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ონლაინსესხების ან უკვე რეგულირებად ბაზარზე ვხვდებით, არის საკომისიოები, რაც მრავლად აქვთ დაწესებული კომპანიებს. მაგალითად, თუკი წლიური ეფექტური 100%-იანი საპროცენტო განაკვეთით ნეტკრედიტ.გე-ზე აიღებთ სესხს, იმავე დღეს სესხის თანხის მისაღებად კომპანია 60– ლარიან ერთჯერად საკომისიოს გაკისრებთ, რაც მათ „განსაკუთრებულ“ დამოკიდებულებას მომხმარებლებისადმი კარგად ასახავს.

სესხის დამტკიცების 40-ლარიანი საკომისიო აქვს ამიცა.გე-ს და კიდევ სხვა მრავალ კომპანიას აქვს მსგავსი, აბსურდული საკომისიოები დაწესებული. ძარცვის კიდევ ერთი დახვეწილი სქემა ისიც არის, რომ ინფორმაციას საკომისიოს არსებობის შესახებ მხოლოდ სესხის აღების მომენტში იგებ. ბუნებრივია, მომხმარებელთა უმეტესობა თუ არა, სოლიდური ნაწილი უკვე დამტკიცებულ სესხზე აღარ ამბობს უარს და ამ „შეცურებულ“ საკომისიოსაც, სავარაუდოდ, გამცემი ორგანიზაციის მიმართ „ლოცვა-კურთხევის“ თანხლებით, მაგრამ მაინც იხდის.

ფაქტია, რეგულაციების ამოქმედების მიუხედავად, ონლანსესხების გამცემი კომპანიები მომხმარებლის უფლებების ხარჯზე ამ რეგულაციების გვერდის ავლასა და საამისოდ სხვადასხვანაირი სქემის დამკვიდრებას ცდილობენ.

ეს არის ის მცირედი, რისი აღმოჩენაც „ბანკებმა და ფინანსებმა“ ამ ეტაპზე შეძლო. ბაზარზე დაკვირვებას შემდგომშიც განვაგრძობთ. ასევე, შემოგთავაზებთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით როგორც ეროვნული ბანკისა თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე თავად ონლაინსესხების კომპანიებისა და მათ მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის – ონლაინ-არასაბანკო საკრედიტო ასოციაციის პოზიციას.

# საფინანსო ორგანიზაციებს მსესხებელზე ინფორმაციის ბაზა უფართოვდებათ

ბანკს, მიკროსაფინანსოსა და სესხის გამცემ სხვა საფინანსო ინსტიტუტებს მსესხებელზე ინფორმაციის ბაზა უფართოვდებათ, თუმცა ინფორმაციაზე წვდომისა და მისი მოხმარების წესებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) განსაზღვრავს. ბენეფიციარი იქნება მხოლოდ პასუხისმგებლიანი გამსესხებელი, უპასუხისმგებლო კი სესხებს ვეღარ გასცემს.

ამას ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც საფინანსო სექტორის ყველა მიმართულებას მოიცავს. კონსოლიდირებულ ზედამხედველობას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ცნებაც შემოაქვს.

საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში კლიენტის ვალდებულებებზე სრული ინფორმაცია უნდა იყოს და, რადგან შესაბამისი რეგულაცია ქვეყანაში არ მოქმედებს, სებ-ის სამართლებრივი აქტებით დარეგულირდება. სანაცვლოდ უქმდება საკრედიტო ინსტიტუტის ცნება.

ამ დროისთვის ბაზის ადმინისტრატორია „კრედიტინფო“, რომლის ხელმძღვანელ ალექსანდრე გომიაშვილის ინფორმაციით, ბიუროს 150-ზე მეტი კლიენტი ჰყავს, მათ შორის ყველა კომერციული ბანკი, მ/ო-ების უმეტესობა, ასევე ონლაისესხებისა და სადაზღვევო კომპანიები. ამ და სხვა იურიდიული პირებისთვის შეთავაზებაშია რამდენიმე პაკეტი, ფასი, ინფორმაციის რაოდენობის და ძიების პერიოდულობის მიხედვით განისაზღვრება. 1 პირზე, თვის განმავლობაში ძიების სიხშირის გათვალისწინებით შეიძლება გამოვიდეს 3-4 ლარი ან რამდენიმე თეთრი.

ბაზის გაფართოებაში საგადასახადო ინფორმაციის დაკავშირება მოიაზრება, რაც გამსესხებელს რისკების სრულად შეფასების საშუალებას მისცემს და მსესხებელიც გაპრობლემებისგან მეტად იქნება დაცული. სესხის გამცემ ყველა სუბიექტს, მათ შორის ონლაინებს, ასევე ლომბარდებს სებ-ში დარეგისტრირება მოუწევთ. სხვაგვარად სესხს ვეღარ გასცემენ.

გომიაშვილი კანონპროექტის დაკანონებამდე ახალი ბაზის ფორმირებაზე და სარგებლობის ახალ წესებზე არ საუბრობს. ამ დროისთვის „კრედიტინფოს“ სასარგებლო პროდუქტი ფიზიკური პირებისთვისაც აქვს, „ჩემი კრედიტინფოს“ წლიური ტარიფი მინიმალურია – 30 და მომხმარებელს მუდმივად აქვს წვდომა თავის კრედიტ-ისტორიაზე. ასევე მისი ისტორიით დაინტერესებულ სუბიექტზე, რამდენჯერ შეამოწმეს და რა პერიოდში. გამოვლენილია უკანონო ძიების ფაქტებიც, რის გამოც მაძიებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა. პირველ ჯერზე სანქცია 500-ია განმეორებით შემთხვევაზე – 2.000.

ალექსანდრე გომიაშვილის ინფორმაციით, ამ დროისთვის „კრედიტინფოში“ 23 მლნ-ზე მეტი ჩანაწერია, რომელიც ნეგატიურსაც მოიცავს და პოზიტიურსაც.

# სესხს ეროვნული ბანკის გარეშე ვერც ლომბარდები გასცემენ

საბანკოდან გამიჯნული ბიზნესის მარეგულირებელი ცვლილებების კენჭისსაყრელად პარლამენტარები მზად არიან, თუმცა არავინ იცის, ამის საშუალება როდის მიეცემათ.

საკანონმდებლო პაკეტი, რომლის კენჭისყრა კონსულტაციების მიზეზით არის შეჩერებული, ჰოლდინგურ კომპანიებთან ბანკების ფინანსური არხების გარდა, არასაფინანსო სექტორის გაკონტროლებასაც ითვალისწინებს, სესხის გამცემი ყველა სუბიექტის, მათ შორის ონლინე კომპანიებისაც. გაკონტროლდება ლომბარდების საქმიანობაც. შესაბამისი კაპიტალის მოთხოვნით. შედეგად ბაზრიდან უნდა გაქრეს უპასუხისმგებლო გამსესხებელი, რომელიც მსესხებლის გადახდისუნარიანობას ვერ აფასებს და გადახდისუუნარობის საფრთხეს უქმნის.

ცვლილებებზე საფინანსო კომპანიების აზრი გაყოფილია, ბანკის ლობისტების დამოკიდებულება კი სუბიექტური, რომ ყველა საფინანსო არხის გაკონტროლებით კერძო სექტორი შეიზღუდება და საბოლოოდ პროდუქტის ფასზე აისახება, რაც ისევ მომხმარებელს დააწვება.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების საჭიროება სებ-ს მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერებით აქვს მოტივირებული. კანონპროექტით იზრდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი საინფორმაციო ბაზა, კრედიტინფოსთან საგადასახადო ინფორმაციის დაკავშირებით. შემოდის საკრედიტო ბიუროს ცნება. ინფორმაციის გამოყენების წესებს სებ-ი განსაზღვრავს. ორგანულ კანონში ცვლილებებით (მუხლი № 48; №50) სავალუტო პუნქტებზე სებ-ის საზეგანულ კანონში ცვლილებების საჭიროება სებ-ს მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერებით აქვს მოტივირებული. კანონპროექტით იზრდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი საინფორმაციო ბაზა, კრედიტინფოსთან საგადასახადო ინფორმაციის დაკავშირებით. შემოდის საკრედიტო ბიუროს ცნება. ინფორმაციის გამოყენების წესებს სებ-ი განსაზღვრავს. ორგანულ კანონში ცვლილებებით (მუხლი № 48; №50) სავალუტო პუნქტებზე სებ-ის საზე-

დამხედველო უფლებამოსილება იზრდება და არა მხოლოდ ფულის გათეთრების კუთხით იქნება შეზღუდული.

კანონს ემატება ახალი მუხლი (№501), რომელიც სებ-ს საშუალებას მისცემს მიზანშეწონილობის შემთხვევაში განსაზღვროს პუნქტის მიერ მომხმარებლის ინფორმირების და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესი. ცვლილება შედის ორგანული კანონის 641 მუხლში, რომელიც სებ-ს ვებგვერდზე მისი ზედამხედველობის მიღმა მოქმედ პირთა სიის გამოქვეყნების უფლებას აძლევს.

კომპანიების, რომლებიც გასცემენ სესხებს და იზიდავენ სახსრებს, საჯარო შეთავაზებით (მაგ: გახმაურებული საქართველოს საფინანსო კომპანია) ორგანულ კანონს ემატება 483 მუხლი (საბანკო და საკრედიტო საქმიანობა), რომელიც თანხების მოზიდვის შეზღუდვის მექანიზმს ადგენს. რეგისტრაციისა და ლიცენზიის გარეშე, მეწარმე დაბრუნებად ფულად სახსრებს ვერ მოიზიდავს. ვერც სესხს გასცემს და რეკლამირებაც შეეზღუდება. ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირს უფლებამოსილება მხოლოდ საგადასახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის ან პროვაიდერის აგენტის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში ენიჭება.

# ირანულ კინოფესტივალზე ქართველმა ქალბატონმა საყურე მოიხსნა და ირანელ მსახიობს უსახსოვრა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თველმა დარბაისელმა ქალბატონმა საყურე მოიხსნა და მსახიობს უსახსოვრა. ემოციებიდან წამოსული ეს უაღრესად ადამიანური ჟესტი კიდევ ერთი დასტური იყო იმ ბანალური ჭეშმარიტებისა, რომ ხელოვნების ენა უნივერსალურია და ის არანაირ საზღვრებს არ ცნობს.

***– მაშინ რატომ გარბიან ირანიდან ხელოვნების მოღვაწეები? თუ ახლა შეიცვალა მდგომარეობა?***

– ფაქტია, რომ გარბიან. მაგალითად, ირანიდან გაიქცა გოლშიფთე ფარაჰანი. მაგრამ გაიქცა მაშინ, როცა თავისმა ქვეყანამ მას ყველაფერი მისცა, ყველასათვის საყვარელ გოლშიფთე ფარაჰანიდ აქცია, შეუქმნა მუშაობის ყველა პირობა, უშვებდა და, ხშირად სახელმწიფო სუბსიდიითაც, მსოფლიო კინოფესტივალებზე. გოლშიფთემ კი ერთ-ერთ დასავლურ კინოფესტივალზე ყოფნისას გულახდილი ფოტოები გადაიღო, რომელიც ისლამური ჩაცმულობის მოთხოვნებს აშკარად სცილდებოდა. ამ ფოტოებმა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საერთოდ ირანელი ხალხის გულისწყრომა გამოიწვია და ამ გულისწყრომის გაგება მე, პირადად, კარგად შემიძლია: ხალხს არ უნდოდა, თავისი უსაყვარლესი მსახიობი პორნოსტარის იმიჯში ენახა. თავის მხრივ, გოლშიფთე ფარაჰანის სრული უფლება ჰქონდა, როგორც სურდა, თავის თავს ისე მოჰქცეოდა. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ეს პრობლემა – ხელოვანების დევნის, მათი ანგაჟირებულობისა თუ არაანგაჟირებულობის საკითხი – ხშირად არც ისეთი ცალმხრივია, როგორც შორიდან ჩანს ან როგორც ვინმეს უნდა, რომ დაგვანახოს. შეკითხვის მერე ნაწილის პასუხი შედარებით მარტივია: ირანში ძალიან შეიცვალა ბევრი რამ, თუნდაც იმ ოც წელიწადში, რაც მე ამ ქვეყანაში პირველად ჩავედი.

***– ცნობილია, რომ ირანული პოეზია და პროზა სიმბოლოებით არის სავსე. ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული პოეტური ენა, რომლის შეცნობა დასავლეთის კულტურას ნაზიარები ადამიანისთვის ძნელი შესაცნობი და ზოგჯერ დამაბნეველია. ირანული კინოხელოვნება იმავე ხაზს მისდევს?***

– რა თქმა უნდა, აღმოსავლური ხელოვნება და მათ შორის კინემატოგრაფიც სიმბოლოების საუფლოა. ძნელია ამ ხელოვნების სწორად გაგება, თუ ეს სიმბოლოები კონტექსტიდან მოწყვეტილად აღიქვი. თვითონ სპარსული სამეტყველო ენაც იმდენად მრავალშრიანია, რომ ტექსტის პირდაპირ თარგმნა ზოგჯერ გაუგებრობას უფრო გამოიწვევს... მაგალითად, ირანში, როდესაც ადამიანზე ლაპარაკობენ და მოულოდნელად გამოჩნდება, ეუბნებიან: ,,ნამდვილად კანონიერად შობილი ბრძანდებით!“ ამ ოთხი ფილმიდან ერთ-ერთში იყო ასეთი ეპიზოდი: მანქანით სასეირნოდ გამოსული ორი დობილი ერთ-ერთის ბოიფრენდზე ჭორაობს. ამ დროს ბიჭი დაურეკავს თავის შეყვარებულს და გოგონა ჩაილაპარაკებს: ,,აჰა, აი, კანონიერად შობილია!“ ცხადია, ჩემ მიერ თარგმნილ ტექსტში და, შესაბამისად, ტიტრშიც გაჩნდა: ,,ძაღლი ახსენეო!“ ამ ვიწროეროვნული სპეციფიკის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ირანულ ხელოვნებასა და კინემატოგრაფს აქვს ზოგადადამიანური, მსოფლიო ხასიათიც.

# საბერძნეთში ქურდული სამყაროს პატრიარქს, 63 წლის დათო სებისკვერაძეს, 16 წელი მიუსაჯეს

საბერძნეთში „ქურდული სამყაროს პატრიარქს“, 63 წლის დავით სებისკვერაძეს („დათო კუტაისსკი“, „ვარლამიჩი“), 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მას კრიმინალური დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა ედება ბრალად.

მასთან ერთად გაასამართლეს შოთა ასათიანი („შოთიკო ბოლნისსკი“) და ლაშა უგრელიძე („სტალინი“). მათ, შესაბამისად, 16 და 17 წელი აქვთ მისჯილი.

კიდევ ერთი კანონიერი ქურდი, მიხეილ ბუძიშვილი, რომელიც ამავე საქმისთვის იყო დაკავებული 2017 წლის აპრილში, ნარკოტიკების დიდი დოზით მიღების გამო გარდაიცვალა.

ეს განაჩენი ბერძნული სასამართლოს ქურდულ სამყაროზე ყველაზე დიდი გამარჯვებაა ლაშა შუშანაშვილის სასამართლო პროცესის შემდეგ.

თავად „დათო კუტაისსკისთვის“ ეს განაჩენი უსიამოვნო სიურპრიზი იყო, იგი გათავისუფლებას თუ არა პირობით სასჯელს ელოდა. თუმცა, იგივე შუშანაშვილის მაგალითი რომ ავიღოთ, ბერძნული სასჯელაღსრულებითი სისტემის შესაბამისად, სებისკვერაძე, სავარაუდოდ, ამ ვადას სრულად არ მოიხდის.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, საბერძნეთში რამდენიმე ათეული კანონიერი ქურდია, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა თბილისიდან, ქუთაისიდან და რუსთავიდანაა.

მათ შორის ორი გამოკვეთილი ლიდერია – შუშანაშვილი და სებისკვერაძე, რომლებიც, შესაბამისად, „რუსთავისა“ და „ქუთაისის“ კლანებს მეთაურობენ. დანარჩენი ქურდები რომელიმე მათგანის ორბიტაზე ტრიალებენ.

სასამართლოს განაჩენის შემდეგ „ქუთაისის კლანს“, სავარაუდოდ, გაიოზ ზვიადაძე ჩაიბარებს.

**ნიუპოსტი**

# აზარტული თამაშების აპარატების უკანონო ფუნქციონირების 5 ფაქტი გამოვლინდა

საგამოძიებო სამსახურმა აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილი აპარატების უკანონოდ ფუნქციონირების ხუთი ფაქტი გამოავლინა.

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ხუთი ფაქტი გამოავლინეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისის სხვადასხვა უბანში, ხალხმრავალ ადგილებში – მეტროპოლიტენის სადგურებისა და ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე, დიდი ოდენობით შემოსავლის უკანონოდ მიღების მიზნით, პირთა ჯგუფს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვის გარეშე, აზარტული თამაშებისათვის განკუთვნილი აპარატები ჰქონდათ განთავსებული.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია კანონდარღვევით მოქმედი ცხრა ერთეული სათამაშო აპარატი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გურამ ფოცხიშვილისა და დიმა ომოლჩენკოს მკვლელობაში ბრალდებულ კახა მეგრელიშვილზე ძებნა გამოცხადდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 20 ივლისს გურიაში დამამძიმებელ გარემოებაში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა.

საუბარია 5 თვის წინ იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე მომხდარ სასტიკ მკვლელობაზე, როცა 42 წლის გურამ ფოცხიშვილი და მისი დის ქმარი, 33 წლის დიმა ომოლჩენკო ჩაცხრილეს.

„ნიუპოსტი“ თავიდანვე წერდა, რომ ახალგაზრდები შურისძიებას ემსხვერპლნენ. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ ბიჭების ჩაცხრილვა წლების წინ მომხდარი კრიმინალური შემთხვევის უკავშირდებოდა.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, სასტიკი მკვლელობისთვის 48 წლის კახა მეგრელიშვილზე ძებნა გამოცხადდა. გურიაში მას მეტსახელ „ბუმგიათი“ იცნობენ.

გთავაზობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ კ.მ.-ს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, მიმდინარე წლის 7 დეკემბერს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კ.მ. განაწყენებული იყო ნაცნობზე – გ.ფ.-ზე, რომელმაც წარსულში, შეიარაღებულმა სახლში მიაკითხა და მის მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ბრალდებულმა, ანგარიშსწორების მიზნით, გ.ფ.-ს მოკვლა განიზრახა. ამისთვის მან სპეციალურად, ფარულად შეიძინა ავტომანქანა და ცეცხლსასროლი იარაღი. გამოძიების ინფორმაციით, მიმდინარე წლის 20 ივლისს, კ.მ. და მისი თანამრახველი ავტომობილით აედევნენ მსხვერპლს – 1975 წელს დაბადებული გ.ფ., რომელიც ოზურგეთში, ნათესავთან – 1984 წელს დაბადებული დ.ო.-სთან ერთად ავტომანქანით გადაადგილდებოდა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით სასიკვდილოდ დაჭრეს ისინი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გ.ფ. და დ.ო. მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ“.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილიდან მიმალულმა ბრალდებულმა და მისმა თანამზრახველმა ავტომანქანა ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურის ტერიტორიაზე დაწვეს და მიატოვეს.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიერ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

ბრალდებულ კ.მ.-ზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ძებნა გამოცხადდა“.

**ნიუპოსტი**

# სუს-მა კრწანისის გამგეობის სამხედრო განყოფილების სპეციალისტი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე კრწანისის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მერაბ გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, 25 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით 1.000 ლარის გადახდა მოსთხოვა.

2017 წლის 8 დეკემბერს დაკავებულმა აღნიშნულ მოქალაქეს მის მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი 650 ლარი გამოართვა და განუმარტა, რომ ის სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებული იყო.

2017 წლის 11 დეკემბერს აღნიშნულმა პირმა მოქალაქეს ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის დარჩენილი ნაწილი – 350 ლარი გამოართვა. ამ დროს იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა კრწანისის რაიონის გამგებელმა ლევან ჯაფარიძემ.

– ჩემთვის მხოლოდ ის დეტალებია ცნობილი, რაც გამოძიებამ მოგვაწოდა. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით. გამოძიების ინფორმაციით, ქრთამის სახით 1.000 ლარამდე თანხაზეა საუბარი. ეს პირი გამგეობაში 2013 წლიდან მუშაობს, – განაცხადა ლევან ჯაფარიძემ.

# მამუკა ვასაძე: „პაატა ბურჭულაძე ვალდებულია, სასამართლოში გამოცხადდეს. ეს ნებაყოფლობითი არ არის“

– პაატა ბურჭულაძე ვალდებულია, სასამართლოში გამოცხადდეს!

ამის შესახებ მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილე მამუკა ვასაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ფონდ „იავნანას“ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები და პაატა ბურჭულაძე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე წარდგეს.

საგამოძიებო ორგანოში აცხადებენ, რომ პაატა ბურჭულაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ჯერჯერობით ნაადრევია.

– ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებით ფულის გაფლანგვის მუხლით გამოძიება მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, ბურჭულაძე საჯარო განცხადებებში უარს აცხადებდა საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებაზე. კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდება მისი სასამართლოში გამოკითხვა. სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება აქვს და ეს ნებაყოფლობითი არ არის. საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება კი ნებაყოფლობითია, ამიტომ იგი ვალდებულია, სასამართლოში გამოცხადდეს.

გამოძიება ფულის გაფლანგვის მუხლით მიმდინარეობს და არ არის აუცილებელი კერძო პირის მომართვა ან რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულებები პირის მოწმის სახით გამოკითხვასთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, პაატა ბურჭულაძე ამ ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია და არსებობს კითხვები ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებით და თავად მოწმის სახით არის დაბარებული.

პასუხისმგებლობის საკითხზე კომენტარი და პროგნოზირება ამ ეტაპისთვის არ იქნება სერიოზული, – განაცხადა მამუკა ვასაძემ.

მთავარმა პროკურატურამ პაატა ბურჭულაძე 13 დეკემბერს გამოკითხვაზე დაიბარა, თუმცა თავად ბურჭულაძე, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, მის დაკითხვას დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში, მოსამართლის წინაშე ითხოვს.

# გარდაცვლილი გოგონას საქმრო და მეზობელი ბინაში აივნიდან შევიდნენ და ცხედრები აღმოაჩინეს — დედა სავარძელში იჯდა, შვილი კი გვერდით იატაკზე ნახეს

გორში, ჭალის დასახლებაში გარდაცვლილი დედა-შვილის ცხედრებს ექსპერტიზა უტარდებათ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში. მოგვიანებით მათ სოფელ ქინწისში გადაასვენებენ.

ამ დრომდე უცნობია, თუ რა გახდა მათი გარდაცვალების მიზეზი.

მეზობლების ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც დედა-შვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, გარდაცვლილი გოგონას საქმრო და მეზობელი ბინაში აივნიდან შევიდნენ და ცხედრები აღმოაჩინეს. არცერთ მათგანს ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა, დედა სავარძელში იჯდა, შვილი კი გვერდით იატაკზე ნახეს.

ბუნებრივი აირის გაჟონვას მეზობლები გამორიცხავენ, რადგან ოჯახი იქ არ ცხოვრობდა სისტემატურად და ბინაში გაზი არ იყო შეყვანილი.

მათივე ინფორმაციით, გოგონა წინა დღეს შეუძლოდ იყო და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მას დახმარება ბინაზევე გაუწია.

გორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში არ აკეთებენ კომენტარს, თუ რა ჩივილით მოხდა მათი გამოძახება. გამოძიება მომხდარზე 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

გორში, ჭალის დასახლებაში, გარდაცვლილი დედა-შვილი 11 დეკემბერს იპოვეს.

**იმედინიუსი**

# აფეთქება ნიუ იორკში

ნიუ იორკის ცენტრში, ავტობუსის გაჩერებაზე აფეთქება მოხდა. დაიჭრა ოთხი ადამიანი. პოლიციამ მგზავრების ევაკუაცია მოახდინა. დაზარალებულთა შორის ტერორისტიც აღმოჩნდა. მას ასაფეთქებელი მოწყობილობა წელზე ჰქონდა ჩამონტაჟებული. აფეთქების შედეგად ის დაიჭრა, თუმცა გადარჩა.

ამჟამად ტერორისტი საავადმყოფოშია. ტერორისტი 27 წლისაა. მას აქაიედ ულა ჰქვია. დაიბადა და გაიზარდა ბანგლადეშში. აშშ ექვსი წლის წინ ჩავიდა. ცხოვრობდა ბრუკლინში. ექსტრემისტებთან კონტაქტში შემჩნეული არ ყოფილა.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ნიუ იორკის პოლიციის კომისრის ონილის ცნობით, ტერორისტმა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გამოიყენა. ის მაღალი ტექნოლოგიისა არ იყო. ამით აიხსნება, რომ აფეთქება იმ ძალით ვერ მოხდა, როგორსაც ულა მოელოდა.

– აფეთქების შედეგად ხალხი დაშავდა, მაგრამ არ დაღუპულა. არც ერთი ჭრილობა სიცოცხლისთვის საშიში არაა. თავად ულაც გადარჩა, – ამბობს ონილი.

მისი აზრით, დანაშაულის ხელწერა ისლამური სახელმწიფოსას არ ჰგავს.

– არ გამოვრიცხავთ, რომ ულა მარტო მოქმედებდა. ტერაქტიც საკუთარი ინიციატივით განახორციელა, – თვლის ონილი.

აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტროს პრესმდივანმა ტაილერ ჰოულტონმა განაცხადა, რომ სამინისტრო ნიუ იორკის შტატის ხელმძღვანელობასთან მჭიდროდ თანამშრომლობს, რათა დანაშაული სრულფასოვნად იქნას გამოძიებული.

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ არც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა არ დარჩეს, – განაცხადა მან.

ულამ ტერაქტი შურისძიების მიზნით ჩაიდინა. მან განაცხადა, რომ აშშ-მ თავის დროზე მისი სამშობლო ბანგლადეში დაბომბა, რის გამოც ახლა შური იძია.

სხვები უფრო პროზაულ მიზეზს ასახელებენ. ულა ბრუკლინში ცხოვრობდა და ნიუ იორკში ტაქსის მძღოლად მუშაობდა. მისი მართვის მოწმობას ვადა გაუვიდა, ახალს კი არ აძლევდნენ. ულამ ამაში ამერიკელები დაადანაშაულა და ხსენებული ტერაქტიც ჩაიდინა.

გამოძიება გრძელდება.

# ანდრეი ილარიონოვი: „სირიაში რუსეთი დამარცხდა“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსულმა არმიამ სირიაში ტერორისტები დაამარცხა. პუტინი ამბობს, რომ რუსული არმიის ნაწილები ქვეყანას დატოვებენ, რადგანაც მათი სირიაში ყოფნის აუცილებლობა არ არსებობს.

რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე ილარიონოვი ამბობს, რომ სირიაში მდგომარეობა კვლავაც რთულია. ტერორისტებს გადამწყვეტი დარტყმა არა რუსეთმა, არამედ აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილმა ანტიტერორისტულმა კოალიციამ მიაყენა.

– რაქა, რომელიც ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა, აშშ-ის ეგიდით შექმნილმა კოალიციამ აიღო და არა რუსულმა ჯარმა, – თქვა ილარიონოვმა.

პუტინის ყოფილმა მრჩეველმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სირია დე ფაქტოდ დაშლილია. არებობს თურქული ანკლავი და ტერიტორია, რომელსაც ქურთები ან ასადის მოწინააღმდეგე სირიელი პარტიზანები აკონტროლებენ. რუსეთი მხარს კვლავაც დიქტატორ ასადს უჭერს. აშშ-ის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში ახალი პროცესი დაიწყო. რუსეთი, რომელსაც სირიაში თავისი ბაზები აქვს, ამ პროცესში ჩაეფლო. ეს კი რუსეთს გრანდიოზულ დანაკარგებს უქადის.

– ასე რომ, რუსეთი დამარცხდა, თუმცა პუტინი ცდილობს, დამარცხება გამარჯვებად გაასაღოს. ამჟამინდელი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, როცა მედიას პუტინი აკონტროლებს, ეს შესაძლებელია, თუმცა უსასრულოდ ეს ვერ გაგრძელდება, – ამბობს ილარიონოვი.

# მოგერინი: „ევროკავშირის ქვეყნები საელჩოებს იერუსალიმში არ გადაიტანენ“

– ევროკავშირის წევრი ქვეყნები საკუთარი საელჩოების იერუსალიმში გადატანას არ აპირებენ.

ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინმ ბრიუსელში ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– მე ვიცი, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ სხვა ქვეყნებიც, აშშ-ის მსგავსად, საკუთარ საელჩოებს იერუსალიმში გადაიტანენ. მას შეუძლია ასეთი მოლოდინები სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შეინარჩუნოს, მაგრამ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ასეთ ნაბიჯს არ გადადგამენ, – განაცხადა მოგერინმ.

მისი თქმით, ორსაათიანი შეხვედრის დროს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირისთვის პრიორიტეტად ისრაელსა და პალესტინას შორის მყარი მშვიდობა რჩება.

შეგახსენებთ, რომ 6 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა და აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის ბრძანება გასცა.

ისრაელი იერუსალიმს საკუთარ განუყოფელ დედაქალაქად მიიჩნევს, პალესტინელები კი ცდილობენ, ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი საკუთარი მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქად აქციონ.

# დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლისთვის 35-39 მლრდ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის

– დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლისთვის 35-39 მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

ამის შესახებ პარლამენტში დებატების დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა.

– როგორც მე უკვე აღვნიშნე, ჩვენ საფასურის მოცულობა და დაანგარიშების მეთოდიკა დავადგინეთ. წინასწარი გათვლებით, საფასური 35-39 მილიარდ გირვანქა სტერლინგს (40-44 მილიარდ ევროს) შეადგენს, – განაცხადა მეიმ.

მისი თქმით, მომავალში ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობა გაგრძელდება.

– არსებობს პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობა ჩვენ გვსურს, ამიტომ ჩვენ მზად ვართ, შესაბამისი საფასური გადავიხადოთ, – დასძინა მან.

# სასამართლომ პოლ მანაფორტს მედიასთან ურთიერთობა აუკრძალა

აშშ-ის სასამართლომ ტრამპის შტაბის ყოფილ ხელმძღვანელ პოლ მანაფორტს მედიასთან ურთიერთობა აუკრძალა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სანამ სასამართლოს მანაფორტის საქმეზე დადგენილება არ გამოუტანია, პრესასთან მისი ურთიერთობა დაუშვებელია.

– ამას შეუძლია სასამართლოს მსვლელობას საფრთხე შეუქმნას, – თვლის მოსამართლე ემი ჯეკსონი.

# საფრანგეთის სკოლებში მოსწავლეებს მობილური ტელეფონების ტარება აეკრძალებათ

საფრანგეთის სკოლებში მომავალი წლიდან მოსწავლეებს მობილური ტელეფონების ტარება აეკრძალებათ.

მობილურ ტელეფონებს სკოლებში დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეები ვერ შეიტანენ. ამავდროულად, ლიცეუმებს აღნიშნული აკრძალვა არ შეეხება.

საფრანგეთის განათლების მინისტრ ჟან-მიშელ ბლანკეს განცხადებით, ეს აკრძალვა მოსწავლეებს სპორტულ მოედნებზე დააბრუნებს.

– აკრძალვა შემდეგი წლის სექტემბრიდან ამოქმედდება. ჩვენ სკოლებში გუნდური სულისკვეთების პოპულარიზაცია გვჭირდება. ხშირად ვხედავთ საბავშვო მოედნებს, სადაც ბავშვები ფეხბურთს კი არ თამაშობენ, არამედ სმარტფონებში იყურებიან. პედაგოგიური გადასახედიდან ეს პრობლემაა, – განაცხადა ბლანკემ.

აღნიშნული ინიციატივა საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის წინასაარჩევნო პროგრამით არის გათვალისწინებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანით იწყებს, ვაისი უკმაყოფილოა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ახალ სეზონს 2 თებერვალს თურქეთის ქალაქ ანტალიაში დაიწყებს და მეტოქედ აზერბაიჯანის ეროვნული გუნდი ეყოლება.

ახალი სეზონის დაწყება ერთა ლიგის მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენება. ერთა ლიგის, მისი ფორმატისა და სავარაუდო მეტოქეების შესახებ უკვე ვწერდით და ისიც გემახსოვრებათ, რომ აზერბაიჯანი ჩვენსავით პირველ კალათაშია განთესილი და მეტოქედ არ გვეყოლება. ამიტომ მათთან სპარინგი, ასეა თუ ისე, გამართლებულია.

ალბათ, გამართლებულია ისიც, რომ მატჩი თურქეთში გაიმართება, რადგან ამ დროს გაცილებით უკეთესი კლიმატური პირობებია.

თუმცა, ვერ გეტყვით, რამდენად გამართლებულია ის ფაქტი, რომ მომავალი სპარინგის თაობაზე ყველაზე გვიან ინფორმაცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, ვლადიმირ ვაისმა მიიღო. წესით, მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს თარიღიც, მეტოქის სტილიც და კლასიც...

სლოვაკი სპეციალისტი იმასაც წუხს, რომ ეროვნულ გუნდში ლეგიონერების მოწვევა გაუჭირდება, აზერბაიჯანელებთან მეოთხე შემადგენლობით თამაში კი დიდად არ სურს. თუმცა, ეს წუხილი მან აზერბაიჯანულ ვებგვერდთან საუბრისას გამოხატა და იქიდან შევიტყვეთ.

აი, რას ეუბნება ვაისი აზერბაიჯანულ მედიას:

– ამხანაგური შეხვედრის გამართვის შესაძლებლობის შესახებ ახლა შევიტყვე. მოცემულ მომენტში ძალები თანაბარია. ამხანაგური მატჩი გველის და ვნახოთ, რა მოხდება, თუმცა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა საბრძოლო არ იქნება. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ მატჩისთვის შესაბამისი დრო არ არის. ყველა ჩვენი ლეგიონერი საზღვარგარეთ გამოდის. მათ მოწვევები გავუგზავნეთ, მაგრამ, სავარაუდოდ, ბევრს არ გამოუშვებენ. აზერბაიჯანის ნაკრებთან კი, მეოთხე შემადგენლობით თამაში არ მინდა.

მართალიც არის ბატონი ვაისი – თუ ეს მატჩი მოსამზადებელი ეტაპისთვის არის გამოსაყენებელი, მისთვის უმჯობესია, ის ფეხბურთელები გამოიყენოს და ტაქტიკური მონახაზი თავიდანვე გააკეთოს.

გარდა ამისა, ვაისის სიტყვები ცუდად გვენიშნა – არ სურს მეოთხე შემადგენლობით თამაში, გამოდის, ვაისმა იცის, რა რეზერვიც გაგვაჩნია და ვერ ენდობა.

ვაისი სწორად ფიქრობს და ამიტომაც ვფიქრობდით, რომ უნდა დარჩენილიყო. ჯერ ისედაც მწვრთნელთა ხშირ ცვლას ჩვენთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოს ნაკრების არსებობის 27 წლის მანძილზე, ვაისი 22-ე მწვრთნელია. ეს მაშინ, როდესაც გერმანიის ნაკრების 109-წლიანი ისტორიის მანძილზე, ორჯერ ნაკლები მწვრთნელი ჰყავს გამოცვლილი

# ესპანელები საუკეთესო ჩოგბურთელები არიან

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად ესპანელი გარბინ მუგურუზა, ხოლო საუკეთესო ჩოგბურთელ მამაკაცად ასევე ესპანელი რაფაელ ნადალი დაასახელა.

მუგურუზამ, რომელმაც წელს უიმბლდონის დიდი სლემის ტურნირი მოიგო, განაცხადა, რომ ამ მიღწევით ბედნიერია, მაგრამ ამაზე გაჩერებას არ აპირებს. მისთვის ნადალი მისაბაძი ჩოგბურთელია და აპირებს მაგალითი მისგან გადაიღოს.

რაც შეეხება ნადალს: ესპანელი გახდა ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი, რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საუკეთესოდ დაასახელა. ნადალი 1973 წლის შემდეგ ასევე ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელია, რომელმაც სეზონი პირველ ადგილზე დაასრულა.

# შედეგები

**11 დეკემბერი**

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

რედინგი-კარდიფი ..... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ხირონა ..... 0:1

**საუნინრო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 11 | 3 | 0 | 36-7 | 36 |
| 2.ვალენსია | 15 | 10 | 4 | 1 | 35-14 | 34 |
| 3.რეალი | 15 | 9 | 4 | 2 | 30-11 | 31 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 8 | 6 | 0 | 23-7 | 30 |
| 5.სევილია | 15 | 9 | 1 | 5 | 19-19 | 28 |
| 6.ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 22-18 | 21 |
| 7.ხეტაფე | 15 | 5 | 5 | 5 | 20-15 | 20 |
| 8.ლეგანესი | 15 | 6 | 2 | 7 | 12-14 | 20 |
| 9.ხირონა | 15 | 5 | 5 | 5 | 19-22 | 20 |
| 10.სოსიედადი | 15 | 5 | 4 | 6 | 28-28 | 19 |
| 11.სელტა | 15 | 5 | 3 | 7 | 27-23 | 18 |
| 12.ბეტისი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-28 | 18 |
| 13.ეიბარი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-27 | 18 |
| 14.ლევანტე | 14 | 3 | 7 | 4 | 14-20 | 16 |
| 15.ესპანიოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 11-19 | 16 |
| 16.დეპორტივო | 15 | 4 | 3 | 8 | 18-27 | 15 |
| 17.ბილბაო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-18 | 14 |
| 18.ალავესი | 15 | 4 | 0 | 11 | 12-24 | 12 |
| 19.მალაგა | 15 | 3 | 2 | 10 | 13-28 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 15 | 3 | 1 | 11 | 11-34 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ნიურნბერგი ..... 0:2

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ტორინო ..... 1:3

**საუნინრო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 12 | 4 | 0 | 33-10 | 40 |
| 2.ნაპოლი | 16 | 12 | 3 | 1 | 35-10 | 39 |
| 3.იუვენტუსი | 16 | 12 | 2 | 2 | 41-14 | 38 |
| 4.რომა | 15 | 11 | 2 | 2 | 27-10 | 35 |
| 5.ლაციო | 15 | 10 | 2 | 3 | 36-19 | 32 |
| 6.სამპდორია | 15 | 8 | 3 | 4 | 30-22 | 27 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 8.ტორინო | 16 | 5 | 8 | 3 | 22-22 | 23 |
| 9.ფიორენტინა | 16 | 6 | 4 | 6 | 26-19 | 22 |
| 10.ბოლონია | 16 | 6 | 3 | 7 | 19-20 | 21 |
| 11.კიევო | 16 | 5 | 6 | 5 | 17-26 | 21 |
| 12.ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 21-19 | 20 |
| 13.უდინეზე | 15 | 6 | 0 | 9 | 23-24 | 18 |
| 14.კალიარი | 16 | 5 | 2 | 9 | 16-27 | 17 |
| 15.სასუოლო | 16 | 4 | 2 | 10 | 10-28 | 14 |
| 16.ჯენოა | 15 | 3 | 4 | 8 | 13-20 | 13 |
| 17.კროტონე | 16 | 3 | 3 | 10 | 12-32 | 12 |
| 18.სპალი | 16 | 2 | 5 | 9 | 15-28 | 11 |
| 19.ვერონა | 16 | 2 | 4 | 10 | 14-32 | 10 |
| 20.ბენევენტო | 16 | 0 | 1 | 15 | 8-38 | 1 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნიმი-კლერმონი ..... 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

გიმარაეში-ფეირენშე ..... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ახმატი-ზენიტი ..... 0:0

ტოსნო-ლოკომოტივი ..... 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-კერკირა ..... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ქარაბუქი ..... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-მიდტიულანდი ..... 0:4

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

# სანდრო კობახიძე: „მთელი ვორსკლა სავახშოდ მიმინოში დადის“

უახლოეს წარსულში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი სანდრო კობახიძე უკრაინის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში გამორჩეულია და ზამთრის შესვენებამდე დასკვნით 4 ტურში 3 გოლის გატანა მოახერხა.

არც მისი გუნდი ვორსკლაა ხელწამოსაკრავი – პოლტაველები შესვენებაზე მე-3 ადგილით გავიდნენ, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

სანდრო 31 წლის არის და ახლა ისე ათამაშდა, როგორც საუკეთესო წლებში. არადა, ურთულესი პერიოდი ჰქონდა – უკრაინიდან წასვლის შემდეგ თურქეთში პრაქტიკულად არ უთამაშია...

***– ერთი წლით უკან დავბრუნდეთ. 5 იანვარს ხელი სივასთან უნდა მოგეწერათ, ხოლო 12-ში გიოზტეფეში აღმოჩნდით. რა მოხდა?***

– ორივე თურქეთის პირველი ლიგის გუნდი იყო. სანამ სივასთან დეტალებს ვათანხმებდით, ამასობაში გიოთეფეს ვარიანტიც გამოჩნდა. გუნდი პირველ ადგილზე იყო, იზმირიც შესანიშნავი ქალაქია. ამ ფაქტორებით უფრო გადამწყვეტია გიოზთეფეში გადასვლა. საინტერესოა, რომ შემდეგ ორივე გუნდმა მოახერხა სუპერლიგაში გადასვლა. ისე, თურქეთში საფეხბურთო ბუმია – ყველაფერი მაღალ დონეზე, სავსე ტრიბუნები, ყველა მატჩი ტრილერია. ამ მხრივ უკრაინის 2012-13 წლის სეზონს მაგონებს.

***– წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით?***

– ამ მხრივ უკრაინის პრემიერლიგა უფრო წინ არის. თურქეთში უფრო ათლეტიზმით გამოირჩევიან, ვიდრე ტექნიკით – ბრძოლა უფრო მეტია, ვიდრე ფეხბურთი.

***– გიოზტეფეს სუპერლიგაში გადასვლაში დაეხმარეთ, მაგრამ მალევე დატოვეთ გუნდი.***

– თავდაპირველად ყველაფერი კარგად იყო, მეც თანდათან გავდიოდი ადაპტაციას, ძირითადშიც „ჩავჯექი“. თუმცა, თურქები ცხელი ხალხია – 2 წაგება და მწვრთნელი გუნდიდან წასულია. მოვიდა ახალი მწვრთნელი, მოიყვანა ადგილობრივები და მერე უფრო ცოტა მიწევდა თამაში. სუპერლიგაში გადასვლის შემდეგ კი გუნდი თითქმის 100 პროცენტით განაახლეს – 13 თუ 14 ფეხბურთელთან გაწყვიტეს კონტრაქტი და ახლები მიიყვანეს. მე მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვსულიყავი.

***– როგორც ვიცით, იყო რამდენიმე შემოთავაზება უკრაინის პრემიერლიგიდან. რატომ ვორსკლა? მეორედ ერთსა და იმავე მდინარეში არ ცურავენ.***

– პირველ რიგში ვორსკლაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მეორეც – კლუბი ცივილიზებულად დავტოვე. კლუბში არყოფნის პერიოდშიც მქონდა ურთიერთობა. როდესაც თურქეთში ჩემი საქმე ჩიხში შევიდა, თავად მკითხეს, ხომ არ მინდოდა დაბრუნება – მეც დავთანხმდი...

***– ბოლო ტურებში ეფექტური გოლები გამოგივიდათ. ასეთივე გოლები გაჰქონდა დნიპროში თამაშის დროს ევგენი კონოპლიანკას. მარჯვნიდან თამაში მემარცხენე ფეხბურთელისთვის უკეთესია?***

– კონოპლიანკა ამას პირველივე დღიდანვე აკეთებდა. ვუყურებდი და ვამბობდი – ვისწავლი მეც ასე? აი, გავიდა 6 წელი და ვისწავლე. თუმცა, როგორც მახსოვს, პირველი ასეთი გოლი ვოლინში თამაშისას გავიტანე. ახლა უკვე ხშირად გამომდის. რაც შეეხება ფლანგს... მარჯვნივ უფრო მრავალფეროვანია და ბევრი ვარიანტი გაქვს შეტევის. მარცხნივ თამაშის დროს კი უნდა ჩაირბინო და საჯარიმოს ცენტრში ჩააწოდო.

***– უკრაინაში თამაშისას თქვენმა მწვრთნელმა, ვიტალი კვარციანმა კობახიძის ნაცვლად კიკაბიძე გიწოდათ.***

– მსგავსი ფაქტი მარტო კვარციანს არ მოსვლია...

***– თურქეთში სწორად წარმოთქვამდნენ შენს გვარს?***

– იქ უბრალოდ სანდროს მეძახდნენ. ასევე მეწერა მაისურზეც. უკრაინაში კი უფრო გვარის შემოკლებულ ვერსიას მეძახიან – კობა.

***– ეს მეტსახელი უფრო ისტორიული ქვეტექსტის არის.***

– მადლობა ღმერთს, ამის შესახებ ყველამ არ იცის, ამიტომ სტალინთან მის პარალელს არ ავლებენ.

***– ქალაქი პოლტავა მოგწონთ?***

– დიახ. წყნარი, სუფთა, მწვანე ქალაქია.

***– კარგი ქართული რესტორანი უკვე ნახეთ?***

– აქ ყველა ფეხბურთელს მოსწონს, ივახშმოს რესტორან მიმინოში, სადაც ცხადია, შეფ-მზარეული ქართველია.

***– სერგეი კრავჩენკომ ისიც გვითხრა, რომ თავადაც გემრიელ მწვადს ამზადებ.***

– დიდი კულინარიული ნიჭით არ გამოვირჩევი, მაგრამ ყველა ქართველმა იცის, როგორ შეწვას ხორცი – ეს სისხლში გვაქვს. თუმცა, ვთვლი, რომ კრავჩენკოს ქათინაური ჩემ მიმართ გადაჭარბებულია.

***– 2 წლის წინ განაცხადეთ, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს კარგი ჯგუფი შეხვდა. თუმცა, შედეგი მაინც არ გამოვიდა.***

– უკვე დავიღალე ერთი და იგივეს თქმით. საქართველოს ნაკრებს ყოველთვის რაღაც აკლდება მიზნის მისაღწევად. კონკრეტულად რა – ეს საქართველოში ვერავინ გაიგო უკვე ოცი წელიწადია. შეიძლება ჩავატაროთ ძალიან კარგი მატჩები, მაგრამ დავმარცხდეთ რეალიზაციის, დისციპლინის, ტრავმების, როტაციის გამო. უნდა ვაღიაროთ, რომ ნაკრებისთვის შესარჩევ ციკლში მაქსიმუმი მე-3 ადგილი იყო მაშინაც კი, როდესაც გუნდში არველაძე, კობიაშვილი, ქინქლაძე და სხვები გამოდიოდნენ. დღეს კი ქართველი ფეხბურთელები ტოპ-ჩემპიონატებშიც აღარ თამაშობენ, ბავშვთა ფეხბურთი კი საკმაოდ სუსტად ვითარდება. მაგრამ არაფერია, ადრე თუ გვიან ჩვენ სათქმელს მაინც ვიტყვით.

***– რამდენად საინტერესო იყო ვლადიმირ ვაისთან მუშაობა?***

– როდესაც ნაკრებზეა საუბარი, მწვრთნელის პიროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. საკითხს სხვაგვარად უნდა შევხედოთ – როგორც ჩანს, მისთვის უინტერესოა ჩემთან მუშაობა.

***– 11 თებერვალს 31 წლის გახდები. ეს მაინც შეუმჩნეველია.***

– რატომ შეუმჩნეველი? ვერ გეტყვით, რომ ძალიან ვგრძნობ განვლილ 30 წელს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

***– თავისუფალი ადამიანის სტატუსი არ შეგიცვლიათ?***

– შევიცვალე, ოღონდ, ჯერ არაოფიციალურად. ქორწილის დღეც შორს აღარაა. ჩემი რჩეული თქვენი თანამემამულეა – ოლგა.

***– რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყოველთვის გიყვარდათ კითხვა. რომელმა წიგნმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?***

– ოსტატი და მარგარიტა. მართალია, ქართულად წავიკითხე, მაგრამ შევეცდები ორიგინალშიც მოვახერხო. თუმცა, ჩემ მიერ წაკითხული წიგნების კვარცხლბეკიდან მისი ჩამოღება რთული იქნება.

# ჩხუბი მანჩესტერულ დერბიში

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში მანჩესტერულ დერბიში იუნაიტედი საკუთარ ოლდ ტრაფორდზე 1:2 სიტისთან და, როგორც ჩანს, დერბის უკონფლიქტოდ არ ჩაუვლია. თუცა, კონფლიქტიც არის და კონფლიქტიც...

ოლდ ტრაფორდის გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში არეულობა მოხდა, სადაც ორივე კლუბის ოცამდე ფეხბურთელი და თავად მწვრთნელებიც მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნულში.

ინციდენტის დროს, ქალაქელების მხრიდან ძირითადი შემადგენლობის მწვრთნელი, მიკელ არტეტა დაშავდა, რომელსაც სავარაუდოდ თავის არედან სისხლდენაც ჰქონდა.

ინგლისური მედიის ცნობით, ინციდენტი შემდეგნაირად დაიწყო: ჟოზე მოურინიოს არ მოეწონა, რომ სიტი ხმაურიანად აღნიშნავდა გამარჯვებას გასახდელში, ხმამაღლა იყო ჩართული მუსიკა, რაც ერთგვარი ყიჟინის სახეს იღებდა. პორტუგალიელი შენიშვნის მისაცემად ქალაქელების გასახდელისკენ გაემართა და უკმაყოფილება მათ მიმართ პირადად გამოხატა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია სიტის ფეხბურთელებში. კონკრეტული შეკამათება კი გვარდიოლას გუნდის ბრაზილიელ მეკარეს ედერსონ მორაესსა და მოურინიოს შორის შედგა, რაც თვითონ ფეხბურთელის მიერ გაცემულმა პასუხებმა გამოიწვია მოურინიოს მისამართით, მოურინიომ და მორაესმა ერთმანეთს პორტუგალიურ ენაზე უყვირეს.

ამის შემდეგ მოურინიოს რძის ბოთლები ესროლეს. იუნაიტედის ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს საკუთარ მწვრთნელს გამოსარჩლებოდნენ, რის შემდეგაც სრული არეულობა დაიწყო. ფეხბურთელები ერთმანეთს ხელითაც შეეხნენ, განსაკუთრებით დაზარალდა სამწვრთნელო შტაბის წევრი მიკელ არტეტა, რომელმაც დაზიანება თავის არეში მიიღო. ამ დროს გასახდელის მიმართულებით სამართალდამცავებმაც დაიწყეს მოძრაობა, თუმცა აღნიშნულ ინციდენტში ისინი არ ჩარეულან.

მსგავსი ფაქტი ადრეც მომხდარა ოლდ ტრაფორდზე. კერძოდ, 2004 წელს იუნაიტედი არსენალს დაუპირისპირდა, შეხვედრის დასრულების შემდეგ, მეთოფეების ფეხბურთელმა მიკელ არტეტამ, წითლების დამრიგებელ სერ ალექს ფერგიუსონს პიცა ესროლა, რის შემდეგაც დაპირისპირება ამ 2 გუნდს შორის მძიმე ფაზაში გადავიდა.

# რატომ წავიდა დიქსონი სტრასბურიდან

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მაიკლ დიქსონმა ფრანგული სტრასბური რომ დატოვა და თურქეთის მეორე ლიგას მიაშურა, უკვე ვწერდით. ისიც ვთქვით, რომ ეს არცთუ კარგი ნაბიჯი იყო, რადგან სტრასბური გაცილებით მაღალი კლასის გუნდია და ჩემპიონატიც გამართული აქვს. არადა, დიქსონი საქართველოს ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და ეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევმა მატჩებმაც დაამტკიცა.

დიქსონი არც სტრასბურისთვის იყო ცუდი კალათბურთელი – მაიკლი საფრანგეთის ჩემპიონატში საშუალოდ 13,9 ქულასა და 4,2 ასისტს აკეთებდა. ეს ძალიან კარგი შედეგია.

ამის ფონზე იყო გასაკვირი დიქსონის გადაწყვეტილება. თუმცა, როგორც ჩანს, კლუბთან არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამის თქმის საფუძველს სტრასბურის ვებგვერდი გვაძლევს, სადაც დიქსონი გაკრიტიკებულია.

– სტრასბური და მისი ლიდერი მაიკლ დიქსონ ჯუნიორი 4-თვიანი ერთად ყოფნის შემდეგ თანამშრომლობას წყვეტენ. ქართველ-ამერიკელი გუნდში აეკ-იდან გადმოვიდა და შოლესთან კლუბის მაისურით ბოლო მატჩი ითამაშა. იმის მიუხედავად, რომ დიქსონი ინდივიდუალურად კარგად თამაშობს და მართლაც დიდი ტალანტია, კალათბურთელს გაუჭირდა სტრასბურში ლიდერის როლის შეთავსება. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ საუბრობდა ამაზე მარსიალ ბელიონი. კლუბის პრეზიდენტმა ვენსან კოლემ დიქსონს შენიშვნაც მისცა და ამ კუთხით გაუმჯობესება მოსთხოვა. საქართველოს ნაკრების შეკრებიდან ჩამოსულმა დიქსონმა განაცხადა, რომ მას კლუბის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. სტრასბურში იმსჯელეს, რომ დიქსონს კლუბის ფილოსოფიასთან შეგუება გაუჭირდებოდა, ასე რომ, მის ახალ კლუბს წინადადებაზე დათანხმდნენ. სტრასბური კარიერაში წარმატებას უსურვებს, კლუბი კი შეეცდება, ახალი ლიდერით მის ჩანაცვლებას

# პსჟ ტერ შტეგენში 180 მილიონ ევროს იხდის



პსჟ ბარსელონის ფეხბურთელით კიდევ ერთხელ დაინტერესდა და ამჯერად პარიზული კლუბის სამიზნე მარკ ანდრე ტერ შტეგენია, რომელიც წელს ძალიან კარგ სეზონს ატარებს. პსჟ მზად არის, ტერ შტეგენის ტრანსფერში 180 მილიონი ევრო გადაიხადოს. მიუხედავად ასეთი კოლოსალური თანხისა, ბარსელონა, სავარაუდოდ, უარს იტყვის, რადგან კატალონიური გუნდის თავისი პირველი გოლკიპერის გაყიდვას არ აპირებს.

თვითონ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ასევე განაცხადა, რომ ბარსელონაში ბედნიერია და სხვა კლუბში გადასვლა მის გეგმებში არ შედის.

# ნეიმარი რეალის დამარცხებაში დარწმუნებულია

სჟ-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ ის თითქმის დარწმუნებულია თავისი გუნდის გამარჯვებაში რეალთან.

შეგახსენებთ, რომ რეალი და პსჟ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დაუპირისპირდებიან. ნეიმარის აზრით, პსჟ-ს მსოფლიოში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია.

– რეალთან თამაში ყოველთვის რთულია, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ გუნდთან ვიპაექროთ. მადრიდში კარგ შედეგს უნდა მივაღწიოთ იმისთვის, რომ საკუთარ მოედანზე თამაში გაგვიადვილდეს, – განაცხადა ნეიმარმა.

# ბარსელონამ პალმეირასის მცველი იერი მინა იყიდა

ბარსელონამ პალმეირასის 23 წლის მცველი იარი მინა შეიძინა, რომელიც კატალონიურ გუნდს ოფიციალურად იანვარში შეუერთდება.

ამ ტრანსფერის განხორციელებას ბარსელონა ზაფხულში აპირებდა, მაგრამ სამუელ უმტიტის ტრავმის გამო ბარსელონის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა.

მინა კოლუმბიელია და ის პალმეირასის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო. ბარსელონა მინას ტრანსფერში, სავარაუდოდ, 9 მილიონ ევროს გადაიხდის, თუმცა ეს თანხა შესაძლოა გაიზარდოს.

# ბეილი შესაძლოა ტოტენჰემში დაბრუნდეს



მადრიდის რეალის უელსელი შემტევი გარეტ ბეილი შესაძლოა თავის ყოფილ გუნდში, ტოტენჰემში დაბრუნდეს. ბეილი ბოლო პერიოდში ძალიან ხშირად იღებს ტრავმებს და ამის გამო რეალმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა. უელსელი ფეხბურთელის შეძენა, ტოტენჰემის გარდა, მანჩესტერ იუნაიტედსაც სურს, ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას გარეტ ბეილი. რეალმა თავის დროზე ბეილის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადა, ამიტომ მადრიდელები ბეილს იაფად არ შეელევიან.

ბეილის სავარაუდო სატრანსფერო ფასი 90 მილიონი ევრო იქნება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# დონარუმას მილანთან კონტრაქტის გაუქმება სურს

მილანის ახალგაზრდა გოლკიპერმა, ჯანლუიჯი დონარუმამ, შესაძლოა, მილანური გრანდი საბოლოოდ მაინც დატოვოს.

აპენინური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ დონარუმას აგენტმა, მინო რაიოლამ, კლუბის ხელმძღვანელობას ამ ზაფხულს გაფორმებული ახალი კონტრაქტის გაუქმების თხოვნით უნდა მიმართოს.

ფეხბურთელის აგენტი მიიჩნევს, რომ ჯიჯიმ კონტრაქტი იმ ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად გაახანგრძლივა, რომელიც მასზე ხორციელდებოდა და ეს არ იყო მისი გულწრფელი არჩევანი.

ამ ზაფხულს ცნობილი გახდა, რომ 18 წლის იტალიელი „როსონერისთან“ ხელშეკრულებას, რომელიც მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურებოდა, არ გაახანგრძლივებდა. ამას მილანის ფანების ძალიან მკაცრი და უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო რამდენიმე კვირაში ჯიჯიმ ახალ კონტრაქტს ხელი მაინც მოაწერა.

ახლა კი არ არის გამორიცხული, ზემოხსენებული ახალი კონტრაქტი გაუქმდეს, ვინაიდან დონარუმას დიდი ევროპული კლუბები უმიზნებენ, მათ შორის მადრიდის რეალი და პარი სენ ჟერმენი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დანიელ სტარიჯი ლივერპულიდან წასვლას აპირებს



ლივერპულის ფორვარდი დანიელ სტარიჯი გუნდიდან წასვლას აპირებს, რაც სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობით არის გამოწვეული. წლევანდელ სეზონში სტარიჯი იშვიათად ხვდება ლივერპულის სასტარტო შემადგენლობაში, რაც სალაჰის კარგი თამაშით არის განპირობებული.

სტარიჯი, სავარაუდოდ, ინგლისში დარჩება და პრემიერ ლიგის რომელიმე სხვა კლუბში გადაინაცვლებს, თუმცა კონკრეტული გუნდები ჯერჯერობით არ სახელდება. სტარიჯმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლო და ლივერპული მზად არის, ის გაუშვას, თუ ფეხბურთელს რაიმე კარგი ვარიანტი გამოუჩნდება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 13 დეკემბერი

**ვერძი** – მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენეთ. დაისვენეთ ბუნებაში უახლოეს ადამიანებთან ერთად. **კურო** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ აზრს პატივი ეცით. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – შემოქმედებითი კუთხით გიმართლებთ. შთაგონება გეწვევათ. ახალ პარტნიორთან ურთიერთობა ნაყოფიერია. **კირჩხიბი** – ყოველგვარი ნეგატიური აზრი უკუაგდეთ. იაზროვნეთ პოზიტიურად. **ლომი** – ბედი გწყალობთ. მიზანს იოლად მიაღწევთ. განსაკუთრებით უმართლებთ საჯარო მოხელეებს. **ქალწული** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი შრომის შედეგი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. **სასწორი** – ჯანმრთელობას მიხედეთ. მცირე ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა ძალზე სასარგებლოა. ვითარებას ნუ გაამწვავებთ. **მორიელი** – ნებისმიერი საქმე კონსტრუქციულ გადაწყვეტას მოითხოვს. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. **მშვილდოსანი** – მოვლენები თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. იყავით ოპტიმისტი. **თხის რქა** – სიბრძნე და გონიერება დღის დევიზია. ნუ აჩქარდებით და ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. **მერწყული** – საკუთარი პრინციპები დაიცავით. სამსახურში კოლეგებთან უთანხმოება გელით. **თევზები** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის ჭურჭელი ხევსურეთში; 3. ჩიტების საჭერი მახე; 4. მეღვინეობის ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 5. სახელმწიფო ავსტრიაში; 6. მდგომარეობა კრივში; 11. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის პატარა მოთხრობა; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 14. ბრიტანელი პოლიციელი; 15. მდგომარეობა ჭადრაკში; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 18. აქლემის ნაშიერი; 19. მუსლიმთა სამლოცველო.

**თარაზულად**: 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 8. სახელმწიფო კავკასიაში; 9. იაპონური ავტომობილი; 10. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 16. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 18. ძაღლების სპეციალისტი; 20. ქიმიური ელემენტი, აირი; 21. წელიწადის მეთორმეტედი; 22. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 23. დედალი ჯიხვი; 24. ფინანსური ოპერაციების სარეგისტრაციო ყოველდღიური საბუღალტრო დავთარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰორაციო; 2. ფრუმი; 3. ტოპონიმი; 4. ბინომი; 5. გონდოლა; 6. სარდელი; 11. დირსი; 13. „სიმენსი“; 14. ფილოქსერა; 15. კონტრაქტი; 17. ლევილი; 18. ბურიმე; 19. ჩოხა.

**თარაზულად:** 7. სოკერი; 8. პოლიქრომია; 9. „ხანუმა“; 10. შოკოლადი; 12. კონსილიუმი; 14. ფრანკი; 16. კლემენსი; 18. ბალატონი; 20. ჭრაქი; 21. ურო; 22. დიასტოლა; 23. ლოქო; 24. ბაბანეური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. არიფანა; 2. კატალოგი; 3. შირაქი; 4. მუყაო; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. ევროპა; 16. ბაგიათი; 18. ზურნა; 20. მუზა.

**თარაზულად:** 1. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. სარკე; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. სავანა; 19. პრიმატორი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. ნაცნობი.

# მანიკა ასათიანის სახლი გაქურდეს

ტელეწამყვანისა და მოდელის მანიკა ასათიანის სახლი გაქურდეს.

ინფორმაცია ქურდობის შესახებ მოდელმა თავად გაავრცელა:

– გუშინ ღამე სახლი გატეხილი და გაქურდული დამხვდა! მე და გიო ვიყავით მარტოები და ფიქრიც არ მინდა, რომ მიმესწრო ქურდისთვის, რა მოხდებოდა. ის ფაქტი უფრო მაგიჟებს, რომ წარმოვიდგენ, ვიღაც უცხო დაბოდიალობდა ჩემს სახლში, ვიდრე ის, რომ ძვირფასი ოქროები და ფულია წაღებული, მათ შორის ჩემი ქმრის საქორწილო ბეჭედი.

ზოგადად, გუშინ მივხვდი, რომ ძალიან ბევრი მსგავსი ქურდობა ხდება ქვეყანაში და არ შეიძლება, რომ უფრო ინფორმირებულები ვიყოთ?!

ამ დროში ადამიანების დაუთოვება, დასკოჩვა და ა.შ. თუ კიდევ ხდებოდა, მე პირადად არ ვიცოდი და მძიმე რეალობა ისაა, რომ ხდება და არა იშვიათად! გამომძიებლებმა და ექსპერტებმა ბევრი მსგავსი შემთხვევის შესახებ მიამბეს, დილის 6 საათამდე ჩემს სახლში იყვნენ.

მე დიდი იმედი მაქვს, ქურდს მივაგნებთ და საკადრისადაც დაისჯება, მაგრამ თქვენ გირჩევთ, მეტი ყურადღება გამოიჩინეთ და ფრთხილად იყავით! ფაქტია, რომ სანამ ჩემ თავზე არ გამოვცადე ეს საშინელება, არაფერი არ ვიცოდი და ისიც ფაქტია, რომ არცთუ ისე ცოტა შემთხვევაა ქურდობის, მარტო ჩემთან ყოფნისას 2-3 გამოძახება იყო ქურდობაზე, და რას ნიშნავს ეს?! მარტო თბილისში, თუ ღამეში რამდენიმე სახლი იქურდება, ნორმალურიაა?!

# შოტლანდიელმა ქალმა სექსზე უარის გამო მამაკაცს კვერცხები მოაგლიჯა

შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის სასამართლომ ქალს, რომელმაც ნაცნობ მამაკაცს კვერცხები მოაგლიჯა, განაჩენი გამოუტანა.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, 43 წლის ნუნცი დელ ვიშიოს დაზარალებულისთვის 500 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს, გარდა ამისა, ექვსი თვის განმავლობაში მას ეკრძალება ქუჩაში 22:00 საათიდან 6:00 საათამდე გამოსვლა.

ინციდენტი 22 მაისს მოხდა. დელ ვიშიომ მეგობართან, 44 წლის მარსელო პალმასთან ერთად საღამო ღამის კლუბში გაატარა. შემდეგ ისინი მის სახლში მივიდნენ და დროსტარება გააგრძელეს. ვიშიო განმარტოვდა მამაკაცთან ერთად, რომელიც კლუბიდან წამოიყვანა, ხოლო პალმა და მეორე გოგონა მეორე ოთახში განმარტოვდნენ. პალმა ამტკიცებს, რომ დაახლოებით ღამის ოთხ საათზე შიშველი ვიშიო მასთან საწოლში ჩახტა. ქალმა მას შესთავაზა, რომ ორგია მოეწყოთ, ხოლო როდესაც მან უარი უთხრა, ყვირილი ატეხა და ოთახში ყველაფერს ამტვრევდა. ჩხუბის დროს ქალმა მას კვერცხებზე უკბინა. პალმა მის მოშორებას შეეცადა და რამდენჯერმე ჩაარტყა, მაგრამ ვიშიო კბილებს არ უშვებდა. ბოლოს მან თავი გადასწია და მამაკაცს კვერცხი მოაგლიჯა.

მამაკაცმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ქირურგებმა მოგლეჯილი ორგანო მიაკერეს და 15 ნაკერი დაადეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჯოსვოიდი ბ

**შვეულად**: 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერული, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. ხეობა საქართველოში; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად**: 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. უდაბნო აფრიკაში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო – გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# დიმა ჯაიანი საბურთალოს ამაღლების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს



სოხუმის თეატრის მსახიობსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრს დიმა ჯაიანს ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და რიგითი მოქალაქეები რუსთაველის თეატრში გამოეშვიდობნენ.

სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი და ამავე თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი დიმა ჯაიანი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის მძიმედ იყო ავად.

რუსთაველის თეატრში საქართველოს სახალხო არტისტის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. დიმა ჯაიანის ოჯახს პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებმა და დედაქალაქის მერმა მიუსამძიმრეს.

როგორც კულტურის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, დიმა ჯაიანი ნამდვილად გამორჩეული მოქალაქე და ადამიანი იყო:

– პირველ რიგში, მინდა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მივუსამძიმრო. მინდა გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ ეს სამძიმარი მთელ თეატრალურ საზოგადოებას ეკუთვნის. დიმა ჯაიანის სახით, მართლაც წავიდა გამორჩეული ადამიანი და ამ ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქე. იგი ყოველთვის ოცნებობდა, რომ სოხუმის თეატრს ახალი სეზონი გაეხსნა სოხუმში და იმედი მაქვს, რომ მისი ეს ყველაზე დიდი ოცნება მალე ასრულდება.

დიმა ჯაიანი რუსთაველის თეატრიდან უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს. მსახიობი საბურთალოს ამაღლების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

# სამეგობაში მოხუცთა თავშესაფრის დასახმარებლად საღამო გაიმართება



13 დეკემბერს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო ღონისძიება სოფელ ხურვალეთის მოხუცთა თავშესაფრის ბენეფიციარების დასახმარებლად.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები გიორგი სუხიშვილი, ბექა ხუციშვილი, ხათუნა კვესელავა, მიხეილ ღანიშაშვილი, ლაშა ცელაძე, გაგა გომართელი, თემურ ცერცვაძე.

საქველმოქმედო შეხვედრას მუსიკალურად გააფორმებენ ანსამბლები „აღსავალი“ და „სამება“.

# გელათის კონსერვაცია იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს



გელათის მონასტრის კონსერვაცია იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს. შემუშავებული გეგმის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კოორდინაციითა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ისტორიულ ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები გრძელდება. მომზადებული პროექტის საფუძველზე, ფიზიკურ სამუშაოებს საქართველოში მოქმედი ავტორიტეტული და მაღალკვალიფიციური გაერთიანებების არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფები ახორციელებენ.

გელათის სამონასტრო კომპლექსი ბაგრატის საკათედრო ტაძართან ერთად იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს შევიდა. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2010 წლის გადაწყვეტილებით, ის მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში მოხვდა. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წლევანდელ კრაკოვის 41-ე სესიაზე, კომიტეტმა მხედველობაში მიიღო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული უდიდესი ძალისხმევა და ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით შესრულება, რომლის შედეგადაც დასრულდა გელათის, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის, ძირითად ნუსხაში დაბრუნების 7-წლიანი პროცესი.

# ანდრია გველესიანმა მეორე კლიპი გადაიღო

ახმეტელის თეატრის მსახიობმა და მომღერალმა ანდრია გველესიანმა რიგით მეორე კლიპი გადაიღო. სიმღერა ამჯერადაც ანდრიას ეკუთვნის და მას „თოლია“ ეწოდება.

ვიდეორგოლის გადაღებები მთელ საქართველოში მიმდინარეობდა. ფოტოების მცირე ნაწილი ხელოვანმა ინტერნეტში გაავრცელა და გულშემატკივრებს ბევრ სიახლეს დაჰპირდა.

**ანდრია გველესიანი:**

– არის, დასრულდა ჩემი რიგით მე-2 კლიპის გადაღებები ჩემს საავტორო სიმღერაზე „თოლია“. შემოვიარეთ თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო, შემოდგომის საქართველოდან სვანეთის მაღალმთიან რეგიონებამდე ზამთარშიც გადავედით, დავაფიქსირეთ ულამაზესი ადგილები, გადაგვხდა ძალიან საინტერესო და სახიფათო ისტორიები, ბევრი თანადგომა, ბევრი სიყვარული და ბევრი ემოცია! მოკლედ, მიხარია, რომ უკვე დაწყებულია მონტაჟი და სავარაუდოდ მალევე ულამაზეს კლიპს ჩაგაბარებთ. ასევე გპირდებით ბექესთეიჯის ძალიან, ძალიან საინტერესო ვიდეოებს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჩინელი ექსტრემალის სასიკვდილო ვარდნა ვიდეოზე გადაიღეს

სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია ცნობილი ჩინელი ექსტრემალის იუ იუნინის სიცოცხლის ბოლო წუთები. ვიდეორგოლი იუთუბიზეა გამოქვეყნებული.

ცათამბჯენის სახურავზე მყოფი ახალგაზრდა მაძაკაცი ცდილობს, ხელებზე აიწიოს და ზევით აცოცდეს, მაგრამ თავს ვერ იმაგრებს და ვარდება.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსტრემალის ცხედარი ჩამოვარდნიდან ერთი დღის შემდეგ აღმოაჩინეს. სოციალურ ქსელში მის გვერდს 230 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

### ოთხშაბათი 13 დეკემბერი

**07.30** "ნამდვილი დრო"

**08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენგბო ვეგრინე**" **10.00, 01.45** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" **15.30, 06.00** დოკ/ფ "ძველი ეგვიპტური საგანძური" **16.30, 04.30** ტ/სერ. "**ჟელვეები**" **18.30, 07.00** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.15** მხ/ფ "**საიდუმლო ფანჯარა**" (ჯ.დეპი) **02.40** მხ/ფ "**ნებრასკა**"

**06.30, 16.00** სერ. "**ბყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **7** სერ. **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პრაიმშოუ **23.30** სერ. "**დიდი შესვენება**" **10** სერ. **00.10** მხ/ფ "**სიყვარული ინგლისურად**" **02.00** მხ/ფ "**საჩუქარი**" **04.00** მხ/ფ "**ზღვისპირა ქალაქი**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**აფარული ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფარიკას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სკვანე**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**tv ვირველი** **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კური **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პოლიტმერტი **23.30** სერ. "**დაბალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" **11.00** მხ/ფ "**სპარსეთის რინცი**" **13.00** სერ. "**ქრიმინალური აზროვნება 3**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" **21.00** სერ. "**ღარჯის ელფერი 2**" **22.00** მხ/ფ "**მომნუსხველი წამი**" **00.00** მხ/ფ "**სიყვარული შეგყოფინეთით**" **01.30** მხ/ფ "**ჯენტლმენთა თამაშები**" **03.05** მხ/ფ "**უკანასკნელი სიმღერა**" **04.45** მხ/ფ "**დაბეიწე პარიზი**" **06.20** მხ/ფ "**სპარსეთის პრინცი**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ჟველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** მხ/ფ "**თეთრი სილო**" **3.40** ცენზურის გარეშე

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული წიგნის ყდის გაფორმება" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ზღვის წავი გადარჩენისთვის იბრძვის" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** საუბრები სტუდიაში **12.05** ღია აუდიტორია **12.50** გაცოცხლებული წარსული "ჰამლეტ გონაშვილი" **13.30** ან/ფ "დამბო" **14.40** სალბუნი "აბორტი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **15.50** კონცერტი **17.05** ერთსულოვანი ოჯახი **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** წმინდანები "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **18.30** პატერიკი-გარეჯელ მამათა მეოხება **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ჯარიერი**" **20.30** წმინდანები "წმინდა ანდრია მოციქული" **20.40** ძილი ნებისა "ჩხიკვთა ქორნილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ფონდი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი "ძველ მაგიდასთან-რევიშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**მჭედელი**" **23.45** სიბრძნისმეტყველება **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო ზავრის“ ხებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**13 დეკემბრისთვის**

აშშ დოლარი — 2.6673

ევრო — 3.1466

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5678

100 რუსული რუბლი — 4.5043

## ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისთვის

## 30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეძახის:

– ძვირფასო, ღვთის გულისათვის! სასწრაფოდ ექიმი გამოიძახე!

– რა მოხდა?

– გულსაბნევი გადამეყლაპა!

– ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც გეცოდინება, სად დევს და ძებნას აღარ დაუწყებ!

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აბა, მომიყევი, რა არის ახალი სკოლაში?

– იცი რა, მამა, თურმე ძალიან შურიანი მასწავლებელი მყოლია.

– საიდან მოიტანე?

– უკვე მერამდენედ კლასიდან გამოგდების დროს მეუბნება: „მე რომ შენი მამა ვყოფილიყავი!“

•••

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, რას კითხულობ?

– ისტორიულ რომანს.

– კი მაგრამ, ეგ ხომ პორნოგრაფიული ჟურნალია.

– შეიძლება, შენთვის პორნოგრაფიულია, ჩემთვის კი უკვე ისტორიულია.

•••

კაცმა საკუთარი სიცოცხლე დააზღვია და მალე მდინარეში დაიხრჩო. მეზობელი მის ქვრივს ეუბნება:

– როგორი ბედნიერებაა, რომ თქვენი ცხონებული მეუღლე ასეთი წინდახედული იყო, იმის მიუხედავად, რომ არც წერა იცოდა და არც კითხვა...

– მადლობა ღმერთს, არც ცურვა...

•••

მოსამართლეს ბრალდებული მოზარდის დედა ეუბნება:

– მე და ჩემი ქმარი შვილს მკაცრად ვზრდიდით, მაგრამ, საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ფულით, რომელსაც ჩვენ მას სიგარეტისთვის, სასმელისა და გოგოებთან გართობისთვის ვაძლევდით, მარიხუანას ყიდულობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**ქართული დეტექტივი ტომი 13**

**პატრიარქის ზაფხული**




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**